645/2000 2 169

საქართველოს
# ქალი

2000

1-2

ეროვნული ბიბლიოთეკა



საქართველოს პრეზიდენტს ბატონ
ედუარდ შევარდნაძეს

ძვირფასო ბატონო ედუარდ!

ჟურნალ „საქართველოს ქალის" რედაქციის კოლექტივი მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში მთელი შემადგენლობით მხარს უჭერს თქვენს კანდიდატურას და დარწმუნებულია ასე მოიქცევა ჯანსაღად მოაზროვნე ყველა მოქალაქე, რადგან ეს ეპოქალური არჩევანია.
წარმატებას გისურვებთ!

ჟურნალ „საქართველოს ქალის"
რედაქცია

# მშვენიერი ელენე და მისი თოჯინები



ელენე წითლანაძის მშვენიერი თოჯინები პირველად № გალერეაში მოწყობილ თვითნასწავლ ხელოვანთა გამოფენაზე ვნახე, მაგრამ ავტორის გვარ-სახელი არსად ეწერა, რადგან გამოფენა კონკურსის პრინციპით ჰქონდათ ჩაფიქრებული და გარკვეულ დრომდე ავტორთა ვინაობას საიდუმლოდ ინახავდნენ.

გამოფენის დახურვისას რაღაც მოხდა. გამოფენა გამოცხადებულზე ორი საათით ადრე დაიხურა და მოწვეულმა დამთვალიერებლებმა ექსპონატების ნახევარიც ვერ იხილეს.

ამ დაძაბულობასა და არეულობაში ელენეს საოცარი თოჯინები თითქოს ყურადღების მიღმა დარჩა, რითაც ახალგაზრდა ხელოვანიც გულდაწყვეტილი დატოვეს და მისი ხელოვნების თაყვანისმცემლებიც.

გულისტკენაში ჩვენ ხომ ვერავინ გვჯობნის!

ელენემ, ცოტას გაწყდა, კინაღამ თავი დაანება ასეთი სიყვარულით და გატაცებით დაწყებულ საქმეს, მაგრამ სიყვარულმა (და ნიჭმა) თავისი ჰქნა და აი, ქალთა საბჭოს თაოსნობით მოწყობილ თვითნასწავლი მხატვარი ქალების ნამუშევრების გამოფენაზე გასული წლის ნოემბერში ისევ გამოჩნდა და ამჯერად დიდი ყურადღებაც მიიქცია ელენეს თოჯინებმა და თოჯინურმა კომპოზიციებმა: „ტყის ზღაპარი", „ყვავილების გამყიდველი და-ძმა", „შეყვარებული ჯამბაზი", „პრანჭიკელა", „ამაყი ქერივი", „მეთოჯინე".

მშვენიერ მეთოჯინესთან საუბარში შევიტყვეთ, რომ იგი პროფესიით არქიტექტორია. თოჯინები კი მისი გატაცებაა. მანამდე იყო სხვა გატაცებები – ხატვა, მუსიკა, კერვა, ქსოვა. რასაც ხელს მოჰკიდებდა, ყველაფერი შნოიანი გამოდიოდა. ასეთ ადამიანებზე იტყოდნენ ადრე – ხელგამომავალიაო. მაგრამ როცა თანამედროვე ხელოვნების გალერეაში თამრიკო კვესიტაძის თოჯინები ნახა, მოსვენება დაკარგა, ხოლო როცა თეთრი თიხისგან პირველი თოჯინის სახე გამოძერწა მიხვდა, რომ ამ საქმეს თავს ვერასოდეს დაანებებდა. თუმცა არასოდეს არავის უსწავლებია, რა და როგორ კეთდებოდა. ყველაფერს თვითონ იგონებდა. ერთ თოჯინაზე მუშაობდა და მეორის იდეა მაშინვე ჩნდებოდა. რამდენიმე თოჯინა რომ გააკეთა, თამრიკო კვესიტაძეს აჩვენა. ამ დროისათვის თამრიკოს თოჯინებს ისეთი პოპულარობა ჰქონდა მოპოვებული, რომ თითოეული რამდენიმე ათას დოლარად იყო შეფასებული. თამრიკომ მოუწონა და გაამხნევა, რაც უნდა სიძნელე შეგხვდეს, ამ საქმეს თავი არ დაანებოო.

მხარდაჭერამ ფრთები შეასხა. მოდიოდნენ მეგობრები, უკვირდათ, მოსწონდათ, სხვები მოჰყავდათ სანახავად. თან მოჰქონდათ ბიჟუტერია, ნაჭრები, მაქმანები, ბისერი, ძველი პარიკები თუ შინიონები. თოჯინა – საკმაოდ ძვირადღირებული სიამოვნებაა: საღებავი, წებო, ჩასაცმელი, სამკაული. ყველაფერს ფული უნდა. თავისი გარდერობი რომ ამოწურა, მეგობრებს მიადგა.

ამდენ ხანს თავის 6 წლის ქალიშვილს ანას უკერავდა და უქსოვდა ნაირნაირს. ახლა ანას მეტოქეები გაუჩნდნენ – კეკლუცი ქალბატონი თოჯინები – ტყის დედოფლები, პრანჭიკელები, მარკიზები, მეყვავილე ქალები, მოცეკვავეები... თითოეულზე თვეზე მეტ ხანს მუშაობდა. უამრავი დრო მიჰქონდა ამ პაწაწინა ყვავილებით შემკულ პრეტენზიულ შლიაპებს, ბისერით თუ ოქრომკედით ნაქსოვ გულისპირებს და სხვა აქსესუარებს. თვითონაც არ იცოდა, საით წაიყვანდა ფანტაზია. უფრო ევროპული, კლასიკური სტილი იზიდავდა. და, თუმცა ზოგი მისი კომპოზიცია გადატვირთულიც კია, ელენე თავისუფლად მოძრაობს ამ სივრცეში. ყველა მისი ნამუშევარი მაღალმხატვრული და დახვეწილია, არსად მეორდება, არც გემოვნება ღალატობს. მუშაობას იწყებს პერსონაჟის სახით. აი, ამ სახის გამომეტყველება კარნახობს, რას გააკეთებს შემდეგ, იქნება იგი მრავალფიგურიანი კომპოზიცია თუ ერთ პერსონაჟზე შეჩერდება.

ნოემბრის გამოფენაზე წარმატებამ ელენეს თავისი ძალების რწმენა შემატა, მიუხედავად სირთულეებისა (დღისით მუშაობა, ანას მოვლა, საღამოს – უშუქობა, სიცივე, მასალების სიძვირე) ამ მშვენიერ ხელოვან ქალბატონს შინაგანი ხმა კარნახობს, რომ თავის ნამდვილ მოწოდებას მიაგნო. სწორედ ამ გზით უნდა იაროს და დიდი წარმატებაც არ დააყოვნებს.

ამაში მეც დარწმუნებული ვარ.

**ნარგიზა მგელაძე**

მთავარი რედაქტორი
**ნარგიზა მგელაძე**

სარედაქციო კოლეგია:

- ნანული შევარდნაძე
- მარიკა ბარათაშვილი
- ნაზი თარგამაძე
- ლია კაკაბაძე
- ნანა ობოლაძე
- ცინარა ტერელაძე (მხატვრული რედაქტორი)
- ნინო ჯავახიშვილი

ტექრედაქტორი ნანული ბუკია

გარეკანის პირველ გვერდზე – ელენე წითლანაძე მის მიერ შექმნილი თოჯინებით; მეოთხეზე – თამუნა დადიანის მოდების კოლექცია.

დამფუძნებელი – ჟურნალ „საქართველოს ქალის" რედაქცია და ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო"

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო". მ. კოსტავას ქ. № 14.

რედაქციისაგან შეუკვეთავ მასალებზე ჰონორარი არ გაიცემა

"Sakartvelos Kali"
Georgian Woman
a Magazine for Woman

# ... „და ჩემი საზღაური ჩემთან არს“

## *წინასწარმეტყველებანი ჩვენი ეპოქის შესახებ*

**„უკანასკნელ ჟამს დემონები ჯოჯოხეთში აღარ დარჩებიან, – ყველა ისინი დედამიწასა და ადამიანებში იქნებიან...“**

ეს სიტყვები ამოვიწერე წიგნიდან „უკანასკნელ ჟამზე“, რომლის რედაქტორ-შემდგენელია დეკანოზი არჩილ მინდიაშვილი. ნაშრომში განხილულია ოთხი წმინდანის წინასწარმეტყველება ჩვენი ეპოქის შესახებ. ქრისტეს შობიდან ორი ათასი წლის განმავლობაში კაცობრიობას მრავალი განსაცდელი დაატყდა თავს, ბევრჯერ ეგონათ მეორედ მოსვლააო, მაგრამ ის ნიშნები, რაც გამოცხადებით ეუწყა იოანე მახარობელს, ჯერ არ აღსრულებულა, ჯერ არ აღვსებულა ყველა საწყაო... მაცხოვარს რომ ჰკითხეს, უფალო, როდის მობრძანდები შენი დიდებითო, მიუგო: ლელვს რომ კვირტები გამოუვა, მიხვდებით ახლოს არის ზაფხული, – რაც მე გითხარით, ყველა ის ნიშანი როცა აღსრულდება, მაშინ გამოჩნდება ძე კაცისა, ღრუბლებზე მომავალი, თავის ანგელოზებთან ერთადო; – აღთქმული ნიშნები კი შემდეგია: უსჯულოების გამრავლება, გარყვნილობის აღზევება, სიყვარულის განელება, ურწმუნოება, დიდი ომები და სისხლისღვრები, შიმშილობა, ხშირ-ხშირი წყალდიდობა და დიდ-დიდი მიწისძვრები, მზაკვართა და ცრუწინასწარმეტყველთა მომრავლება, უკურნებელ სნეულებათა გავრცელება, საშინელებანი და დიდი ნიშნები ზეციდან...მაშინ ცდუნდებიან ბევრნი, ცრუწინასწარმეტყველნი ბევრს შეაცდენენ, მხოლოდ ბოლომდის დამთმენი გადარჩება, – გვასწავლის მაცხოვარი და იქვე გვიმეორებს: „მაგრამ იმ დღისა და ჟამის შესახებ არავინ იცის“ (მათე, 24; 36).

ჩვენს დროში განსაკუთრებული მასშტაბები მიიღო აპოკალიფსურმა ნიშნებმა, – ცრუწინასწარმეტყველთაგან შეცბუნებული ადამიანები ხშირად კითხულობენ, მართლა, ორი ათას წელს მთავრდება ყველაფერი?! ჯერ ერთი, თარიღი არავინ იცის, მეორეც – არაფერი არ მთავრდება, – როგორც გარდაცვალების შემდეგ იწყება მარადიული სიცოცხლე შეუცნობელ სამყაროში, ასევე ანტიქრისტეს საშინელი დღეების შემდეგ იწყება სულ სხვა სიცოცხლე აქვე, დედამიწაზე. მაშინ ბოროტი ძალები ველარავის დააბრკოლებენ, რადგან სატანა შეპყრობილი იქნება ღვთისგან ათასი წლით, – იოანე წინასწარმეტყველი ძალზე საინტერესოდ აღწერს ყოველივეს, რაც გამოცხადებით ეუწყა. ეს საკითხი ცალკე სასაუბროა, –ჩვენ ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ ღადგება ისეთი ცხოვრება, რისთვისაც შექმნა ღმერთმა ადამიანი, მაშინ გარდაცვალება აღარ იქნება, ვინც ანტიქრისტეს შემოტევებს რწმენით გაუძლებს, ისინი უფლის მეორედ მოსვლამდე იცოცხლებენ, ამ სიცოცხლეში კი წილი არ ექნება „ვერანაირ უწმინდურ და ვერცერთ სიბილწისა და სიცრუის ჩამდენს...“ (გამოცხადება,-22; 27)

რაკი ქრისტიანის წმინდა მოვალეობაა დაუღალავად ამცნოს ყველას ანტიქრისტეს ნიშნები, გადავწყვიტეთ შემოგთავაზოთ უმნიშვნელოვანესი ადგილები წიგნიდან „უკანასკნელ ჟამზე“.

წმიდა მამათა განმარტებით, ბოლო ჟამის ბოლო პერიოდია, გადარჩევის ხანაა, – ყველამ საბოლოოდ უნდა გამოაჩინოს თავისი ნამდვილი სახე. რამდენ ხანს გაგრძელდება ეს დრო, არავინ იცის, – როგორც მომაკვდავი ადამიანის სიკვდილისწინა მდგომარეობაა განუსაზღვრელი (ზოგჯერ აგონია ხუთ წუთსაც არ გასტანს, ზოგჯერ კი თვეობით გრძელდება), ასევე ვერავინ განსაზღვრავს აპოკალიფსის აღსრულების ზუსტ თარიღს; ჩვენ ამ თარიღის კი არ უნდა გვეშინოდეს, უნდა გვეშინოდეს საკუთარი სისუსტეების, რათა ბოროტმა არ დაგვჯაბნოს.ნუ დავივიწყებთ იმასაც, რომ უფლისათვის ერთი დღე ისეა, როგორც ათასი წელი და „ათასი წელი ვითარცა დღე ერთი“. შეუძლებელია განისაზღვროს გამოცხადებაში მოცემული დროების ზუსტი მნიშვნელობა; გარდა ამისა, რატომ უნდა ველოდოთ მეორედ მოსვლას?! განა ადამიანის გარდაცვალებით არ მთავრდება მისი ხორციელი ცხოვრება?! რატომ უნდა ველოდოთ საყოველთაო სამსჯავროს მაშინ, როცა თითოეულ ჩვენგანს მოელის კერძო, პირადი სასამართლო, უფლის წინაშე. ნურავინ დაიმშვიდებს გულს მეორედ მოსვლის შორეულ მომავალში გადატანით და ნურც სიახლოვე შეაკრთობს...მშვიდად შეიძლება იყოს მხოლოდ უფლის მცნებების ღირსეულად აღმსრულებელი – ყოველ ნაბიჯზე სიკეთის მთესველი. სიკეთე არა მარტო იმ ქვეყნად ანათებს სულს, არამედ აქვე ზეციური ნათლით აღავსებს ხორცით დამძიმებულ ადამიანს...

წმიდა მამათა აზრით, ბოლო პერიოდში ცხონება ძნელი არ იქნება, მაგრამ – ბრძნული. ერში იმდენი საცდური დაგროვდება, რომ მხოლოდ მათი გადალახვა აცხონებს ადამიანს, – ცდუნებებს კი მხოლოდ ჭეშმარიტი ქრისტიანები გაუძლებენ. მათივე სწავლებით ანტიქრისტე საქართველოში ვერ იბატონებს. წინასწარმეტყველი ლავრენტი ჩერნიგოველი წერს: „ღვთისმშობლის წილხვედრ ივერიაშიც იქნება დევნა, მაგრამ – მცირე ხნით, როგორც ასეთი, ანტიქრისტე იქ ვერ გამეფდება, საყდარს ვერ განიმტკიცებს“. დეკანოზი არჩილ მინდიაშვილი კი შენიშნავს: სწორედ ამ პერიოდს ეწოდება საქართველოს ცხოვრებაში ივერიის გაბრწყინებაო.

რაც შეეხება ანტიქრისტეს, ღირსი მამა დაბეჯითებით გვიმეორებს, რომ არა თუ დახმარება მივიღოთ მისგან, არამედ უბრალოდაც კი არ შევხედოთ მის ღვთივსაძულველ სახეს. კითხვაზე, როგორ იქნება შესაძლებელი ანტიქრისტეს დანახვა, წმინდანი პასუხობს: „მთელი ქვეყანა ერთდროულად იხილავს მას, არა ეკლესიაში, არამედ ჩვენთან, სახლში!“

ღმერთისა და კაცობრიობის ეს მძვინვარე მტერი ყველაფერში ქრისტეს მიმბაძავი იქნება, – როგორც უფალი განსხეულდა წმინდა ქალწულში, ანტიქრისტეც ვითომ მამაკაცის ნების გარეშე დაიბადება, სინამდვილეში კი ხელოვნური გზით ჩაისახება მრუში დედაკაცის სხეულში და დაუფლებული იქნება სატანის მთელ ეშმაკურ ხელოვნებას. მოჩვენებითი სიმშვიდითა და მორჩილებით შეიმოსება, სინამდვილეში კი გაიძვერობით მელას და დაუცხრომლობით მგელს აღემატება. „მას მოუსმენს და იხილავს მთელი მსოფლიო, თავისიანებს სატანის ბეჭდით დატვიფრავს... ადამიანები დემონებით აივსებიან და ამოირჩევენ დედამიწაზე უმთავრეს „მშვიდობისმყოფელს“. ყურადღებით უნდა დავაკვირდეთ და ფხიზლად ვიყოთ,“ – გვაფრთხილებს ღირსი მამა.

ჩვენს თანამედროვე ბულგარელ ნათელმხილველ ვანგას მსოფლიო იცნობდა, 1966 წელს გარდაცვლილი მართლმადიდებელი პელაგია რიაზანელის შესახებ კი არავინ იყო ინფორმირებული. რუსი წმინდანიც უსინათლო იყო, ადამიანებს ვერ ხედავდა, მაგრამ ცხადზე უცხადესად აღიქვამდა მათ სულსა და გულს...

რიაზანელი წინასწარმეტყველი ამბობდა, ბოლო ჟამს ძალზე აღზევდება სოდომური ცოდვები და მას მამათმავლობა ჰქვიაო. მკითხველმა იცის, ზოგ ქვეყანაში უკვე დააკანო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

21731



საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეს და ანომალიად აღარ ითვლება ეს სულის დამწველი ცოდვა.

სამი საუკუნის წინ ათონის მთაზე მოღვაწეობდა წმინდა ბერი, სახელად ნილოსი, რომლის სხეული გარდაცვალების შემდეგ ღმერთმა მირონად აქცია.

ღირსი ნილოსი წინასწარმეტყველებდა არა მარტო ამქვეყნად ცხოვრების დროს, არამედ იმქვეყნად ამაღლების შემდეგაც, – 1817 წელს გამოეცხადა თეოფანე ბერს და უთხრა: ოთხი ოცდახუთწლეულის შემდეგ რუსეთში დიდი შეშფოთება მოხდება, მონასტრული ცხოვრება თითქმის შეწყდებაო; – რევოლუციის გარდა ზუსტად იწინასწარმეტყველა მეორე მსოფლიო ომის წლები, ევროსახლის შექმნის თარიღი (1992) რომლის შემდეგ ატყდება საშინელი მტაცებლობა, – „როგორი მამათმავლობა, მრუშობა, სისხლის აღრევა, გარყვნილება იქნება მაშინ? მაშინ მოხდება შეშფოთება, განუწყვეტლივ იდავებენ და ვერ გააგნებენ თავსა და ბოლოს... მაშინ ოქრო გაუფასურდება, გზებზე ნაკელივით ეყრება, მაგრამ არვინ ისურვებს მის აღებას; (ოქროში აქ იგულისხმება სიკეთე, რომლის გაკეთებაც ყოველ ნაბიჯზე შეუძლია ადამიანს, მაგრამ თავს არიდებს, არ იღებს მადლს).

წმინდანი ჭვრეტდა ანტიქრისტეს გამეფების ხანას, – „ანტიქრისტე თავისი ბეჭდით დაბეჭდავს ადამიანებს, რათა უფრო უგრძნობი გახადოს ისინი. ანტიქრისტეს აღზევების ბოლო პერიოდში იერუსალიმში ჩამოვლენ ილია და ენუქი, რომლებიც ხალხის ღვთისაკენ შემობრუნებას ეცდებიან და ამხელენ ცბიერ„ კეთილისმყოფელს“. გაცოფებული ანტიქრისტე საკუთარი ხელით მოკლავს ორივე წმინდანს და თავისუფლებას მისცემს ბოროტ სულებს, ადამიანებს ათჯერ მეტად გააბოროტებენ მზაკვარი სულები და კაცნი ეშმაკებს აღემატებიან ცბიერებით. მაშინ კი გაიხარებს ანტიქრისტე და სწორედ ამ ზეიმის დროს შეიმუსრება ზეციური სასჯელით. ამის შემდეგ დადგება ხანა, რომლის შესახებ ხატოვნად წერს იოანე ღვთისმეტყველი გამოცხადების ბოლო სტრიქონებში: „აჰა, მე მოვალ მალე და ჩემი საზღაური ჩემთან არის, რათა თითოეულს მისი საქმეების მიხედვით მივუზღა. მე ვარ ანი და ჰოე, პირველი და უკანასკნელი, დასაბამი და დასასრული“.

უფალმა ეს სიტყვები თითქმის ორი ათასი წლის წინ გაუცხადა ღვთისმეტყველს და ჯერ კიდევ არ დამდგარა ის „მალე“. მოსვლის თარიღი მხოლოდ მამალმერთმა უწყის, ჩვენ ისღა დაგვრჩენია, რომ მზად ვიყოთ უფალთან შესახვედრად და არ დავკარგოთ იმედი.

**ნანა ბაგრატიონ-დავითაშვილი**

# ხილული და ციური

*ასე უწოდა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ საქართველოს დიდ შვილს პავლე ინგოროყვას ერთ პირად წერილში.*

*უკეთესად ვერ იტყვი.*

*ამ მასშტაბის მეცნიერი და ესოდენ სპეტაკი ადამიანი არც ისე ბევრი გვყავს, რომ არ დავინტერესდეთ მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ყველა წვრილმანითაც კი.*

*სამწუხაროდ, ბატონ პავლეს შვილი არ ჰყოლია, მაგრამ ძმისწულებს ლეილა და ლუიზა ინგოროყვებს შვილებად თვლიდა, მამობრივად ზრუნავდა მათზე და ეს კეთილშობილი ქალბატონებიც ყურადღებას და სიყვარულს არ აკლებდნენ [illegible] ადამიანს.*

*პავლე ინგოროყვაზე სასაუბროდ ჩვენ ქ-ნ ლეილას მეუღლეს, ცნობილ კინორეჟისორ გუგული მგელაძეს ვეწვიეთ, რომელიც 25 წელი ცხოვრობდა დიდი მეცნიერის გვერდით.*

*მის მოგონებებში თქვენს თვალწინ გაცოცხლდება თავადაც ნიჭიერი კაცის თვალით დანახული დიდი მეცნიერი.*

– ბედნიერება მერგო წილად მეცხოვრა ოჯახში, რომელიც პავლე ინგოროყვას სახელს ატარებს, ხელით და გონებით შევხებოდი მის უმდიდრეს არქივს, თუმცა მისი დიდი ნაწილი მუზეუმებს გადავეცით. ბატონი პავლეს ნათელ ხსოვნას ვუძღვენი მონოგრაფია, მზად მაქვს კინოსცენარი, თუმცა მის შემოქმედებას რა მონოგრაფიით ამოწურავ... ასეთ ადამიანთან 25 წელზე მეტი ერთ ჭერქვეშ ცხოვრება ეს დიდი სულიერი ფუფუნებაა.

...იყო უნაკლო, თავმდაბალი, მოწყალე, სულგრძელი, მაგრამ არავის აპატიებდა მშობელი ქვეყნის აუგს. როცა მისი წიგნი იბეჭდებოდა ოცდაოთხი საათი სტამბიდან არ გამოდიოდა, მაშინაც კი, როცა მძიმე სენით – ტუბერკულოზით დაავადებული სისხლს ანთხევდა. დადიოდა მოხუცი, დიდი, უზარმაზარი პორთფელით, ფილტვებდასნეულებული და ნატანჯი კაცი და, ვინ უწყის, რომ მიეღოთ და მისთვის ყური ეგდოთ, ეგებ არ ყოფილიყო დღეს ჩვენს თავს ამდენი თავსატეხი და გულსაკლავი პრობლემა. მეოთხედი საუკუნის წინ მას უკვე მოფიქრებული ჰქონდა ამ პრობლემების „წამალი“.



პავლე ინგოროყვა

მისი თანამოაზრენი, სულიერი ძმები იყვნენ: კონსტანტინე გამსახურდია, ექვთიმე თაყაიშვილი, გრიგოლ რობაქიძე, გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, გერონტი ქიქოძე, რევაზ გაბაშვილი, სერგი ჭილაია, ვახტანგ კოტეტიშვილი, ლავროსი კალანდაძე, ანა რატიანი.

...ორი საქართველოსათვის თავშეწირული რაინდი პავლე ინგოროყვა და ექვთიმე თაყაიშვილი, ორი დამაშვრალი გვერდიგვერდ განისვენებენ დიდუბის პანთეონში.

მე ეს სიმბოლურად მეჩვენება. ორივე მათგანი, ასე მგონია, „ორსავე სოფელსა შინა“ თავისი ერისათვის იღწვოდნენ და იღწვიან ახლაც – სიცოცხლეშიც და სიკვდილშიც სამაგალითონი.

... ბატონი კონსტანტინე მოსკოვის „ბუტირკის“ ციხეში იხდიდა სასჯელს, პავლეს მეუღლემ ქეთევან ბაქრაძემ თავისი ხელით ამოქარგული პირსახოცი შეუგზავნა ციხეში ასეთი სიტყვებით „დილა მშვიდობისა!“ კონსტანტინეს საწოლის წინ ეკიდა და ასე ეგონა, მთელი საქართველო მას ესალმებოდა. პავლემ ისე მოაბეზრა მაშინდელ ჩეკას თავი, რომ ერთ პასუხისმგებელ მოხელეს უყვირია: „Или арестуйте этого Ингороква, или же освободите Гамсахурдия“. გაათავისუფლეს გამსახურდია. ბოლომდე მადლიერი იყო პავლესი დიდი მწერალი. თუ არა პავლე, მე დღეს ცოცხალი არ ვიქნებოდი, მთელი ჩემი ცხოვრება ფუთი ქვებით დატვირთულმა რომ ვიარო, პავლეს ამაგს მაინც ვერ გადავიხდიო, – ამბობდა.

ქეთევან ბაქრაძე-ინგოროყვა უაღრესად განათლებული ქალი გახლდათ. მის ნათელ ხსოვნას უძღვნა პავლემ „გიორგი მერჩულე“. ჩვენს ალბომში ინახება ფოტო – ივანე ჯავახიშვილი პეტერბურგელ ქართველ ქალებთან. ერთ-ერთი იმათგანი ქეთევან ბაქრაძეა, მთარგმნელი „დავით კოპერფილდისა“, შესანიშნავი პიანისტი. ერთ დღეს პავლეს მორიდებით უთქვამს, მუშაობაში ხელი მეშლებაო, ის დღე იყო და ის დღე, ქეთო როიალს აღარ გაჰკარებია. გულმოწყალეს საახალწლოდ წყნეთიდან ჩამოსული შეშის მჭრელისათვის, თავად ხელმოკლეთ, მეუღლის მთელი თვის ჰონორარი მიუცია, რომ არ უჭირდეს კაცს, ამ ყინვაში ქუჩა-ქუჩა ხომ არ იხეტიალებდაო.

1937 წელმა მძიმე კვალი დაამჩნია ინგოროყვების ოჯახსაც, ქ-ნ ქეთოს დაუპატიმრეს ერთადერთი ძმა, პავლესაც ემუქრებოდნენ დაჭერით, სათნო მანდილოსანმა ვერ გაუძლო, ინსულტი დაემართა და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა.

ერთი წუთითაც არ მოშორებია საყვარელი მეუღლის სარეცელს პავლე, ახალგაზრდობაში ისე თავდავიწყებით ჰყვარებია ქეთო, ერთხელ სასოწარკვეთილს თავის მოკვლა განუზრახავს, ტყვია უსვრია, ექიმებს არ ამოაღებინა, საფლავში ჩაიტანა.

...„გიორგი მერჩულეზე“ მუშაობისას ძალზე გაურთულდა ტუბერკულოზი, სულ სისხლს იღებდა, ექიმები უკრძალავდნენ, არ ნებდებოდა, ისე წერდა ქართველი ხალხის ათასგვერდიან მატიანეს. იმ წელს ქვიშხეთში ისვენებდა. ცუდად შეიქნა, დეპეშა აფრინეს თბილისში კონსტანტინესთან, მეორე დღესვე ბატონი კონსტანტინე ორი პროფესორით პავლესთან გაჩნდა. რარიგ უხდებოდა იმ დღეს სპორტული ტყავის ქურთუკი, ხელი ახალგაზრდულად ჰქონდა ჯიბეში, მეორე ხელით ულამაზესი დობერმანი ეჭირა შესაბმელით. ეს ორი პიროვნება ისე შეხუმრებულები ესაუბრებოდნენ ერთმანეთს, რასაც ვერცერთს ვერავინ შეჰკადრებდა. პავლე ინგოროყვა იყო ერთადერთი კაცი, ვისაც ბატონი კონსტანტინე დიდის მოწიწებით და თავმდაბლობით ეთათბირებოდა, ქვემოდან შესცქეროდა.

...ბ-ნი პავლეს არქივში ერთ ქაღალდს წავაწყდი: „პავლე, ჩემთან მოსვლა უკვე საშიში აღარაა. შენი ექვთიმე“. ამას წერდა ერისკაცი, თავის დროზე გუშაგად რომ გაჰყვა საქართველოს აურაცხელ ქონებას, მის საგანძურს, მის ისტორიას, რათა ათეული წლები ეშიმშილა უცხო მხარეში და ღრმადმოხუცებულს გამდიდრებული დაებრუნებინა განძი თავის ქვეყნისათვის. ეს კაცი

# საქართველოს დამამშვენებელი



სწერდა, რომ მასთან მისვლა შეიძლებოდა, აღარ დაიჭერდნენ, არ აწამებდნენ, სიკვდილით არ დასჯიდნენ!

...ოთხმოცდახუთის რომ შესრულდა, ნოდარ დუმბაძემ ინახულა. ძალიან უყვარდა ნოდარი, აღტაცებული იყო მისი ნიჭით, იუმორით და მახვილგონიერებით. იწვა, შეუძლოდ იყო, ნოდარი სასთუმალთან მიუჯდა, ჩვეული გულითადი საუბარი გაუბა. იმდღევანდელი საუბრიდან ეს დამამახსოვრდა პავლესაგან – „ისეთ მცირერიცხოვან ერს, როგორიც ჩვენია, აუცილებლად გამძაფრებული უნდა ჰქონდეს ნაციონალური გრძნობა, რაც მრავალრიცხოვანი ერისათვის საშიშროებას არ წარმოადგენს, მცირერიცხოვანი ერისათვის დამღუპველია“.

– ქრისტეს ჰგავსო, – მითხრა ნოდარმა, როცა კიბეზე ჩადიოდა, ცრემლები წამოუვიდა.

...ბატონ ედუარდს პავლესათვის საიუბილეო თარიღი უნდა მიელოცა. დაფაცურდა სახლმმართველობა, დააკრიალეს ქუჩა, გაარემონტეს მწერალთა სახლის ჩვენი სადარბაზო გოგებაშვილის ქუჩაზე. შემდეგაც როცა დაჭუჭყიანდებოდა იქაურობა, სახლმმართველს ვურეკავდი, მგონი ისევ აპირებენ მოსვლას-მეთქი და...ისევ დაფაცურდებოდნენ. ჩემი მეუღლე ლეილა ინგოროყვა რამდენჯერაც საჭმელს შეუტანდა ბატონ პავლეს, იმდენჯერ ეუბნებოდა (მეხსიერება ღალატობდა) – შენთან უნდა მოვიდეს ედუარდ შევარდნაძე, მოგიკითხავს, გაგესაუბრება, ბოლოს ალბათ გკითხავს, რა გიჭირს, რითი დაგეხმაროთო, შენ უნდა უთხრა: ჩემს შვილიშვილს ქეთინოს, გათხოვილს, ბინა არა აქვს და თუ შეიძლება დაგვეხმარეთ-თქო. ეს დიალოგი დიდხანს გრძელდებოდა. ბოლოს ლეილა ამბობს, ახლა ჩავატაროთ გენერალური რეპეტიცია! ვითომ მოვიდა შევარდნაძე. პავლეს ოთახში შევდივარ მე. იწყება რეპეტიცია:

მე – როგორ ბრძანდებით, ბატონო პავლე?

პავლე – (შეშინებული) გამარჯობა, რომელი ხარ?

მე – მე ვარ შევარდნაძე... ვერ მიცანით?

პავლე – გიცანით!

მე – როგორ ბრძანდებით, ბატონო პავლე?

პავლე – არა მიჭირს.

– ხომ არაფერი გნებავთ... სათხოვარი ხომ არაფერი გაქვთ?

– კი.

– მიბრძანეთ.

პავლემ გახედა ლეილას და ქეთინოს, მერე მე (შევარდნაძეს) შემომხედა და წაიჩურჩულა:

– საქართველოს მოუარე, საქართველოს!

აი, ჭეშმარიტი პავლე ინგოროყვა.

– არც მანქანა, არც სახლი, არც ჩაცმა, მხოლოდ პური და წყალი. ჭერი, საწერი მაგიდა, წიგნები, ხელნაწერები... 90 წელს ისე მიაღწია, ერთხელ არ დაუწუწუნებია. სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე თქვა, „დედაჩემს კარგი სხეული მოუციაო“, მძიმე სენი კი უღრღნიდა ფილტვებს. ერთი რამის ეშინოდა – ორპირი ქარის (ორპირი ხალხისაც), სულ ითხოვდა, კარი დაკეტეთ, ფანჯარა დაკეტეთო. თვალები მე დავუხუჭე, ცუდად გავხდი. პირველად ვხედავდი ადამიანის გარდაცვალებას.

...ბატონ პავლეს ძნელად უბეჭდავდნენ ნაწარმოებებს. ოცი წლისამ გამოსცა „ქართული სასულიერო პოეზიის“ ანთოლოგია და ილია ჭავჭავაძის სრული კრებული. ტირაჟს არ ჰქონდა მისთვის მნიშვნელობა, ოღონდაც დაებეჭდათ. რამდენიმე ეგზემპლარიც რომ დაიბეჭდოს, იმას ველარ მოსპობო! ტიტანური შრომა შეეძლო, ზოგჯერ ფრაზას საათობით ხვეწდა და სრულყოფდა. უყვარდა თქმა „წერტილის დასმა უნდა იცოდეო“. მისგან ვიცი, ვერაფრით დაუსვა წერტილი „გიორგი მერჩულეს“ ერთ თავს. ბოლოს მიუგნია ორი დამამთავრებელი სიტყვისათვის – მზე ზენიტშია! აი, რას ნიშნავდა მისთვის დროზე წერტილის დასმა. მხოლოდ ერთხელ ვნახე აღელვებული. საკუთარ თავს არ ჰგავდა. ერთ ქართველ პოეტს დაეწერა ლექსში: „ჩემთვის ერთია მეფე ერეკლე და აღა-მაჰმად-ხანი, სადაც კი წავალ, მე სამშობლოს ყველგან ვიშოვი“. ცრემლები ღაპაღუპით წამოუვიდა. მეფე ერეკლე, რომელმაც 34 ჭრილობა ჩაიტანა სამარეში, ვის შეადარა?!

...ერთ მეგობარს „ყური აუწია“, მისი აპოლოგიური ლექსები რომ წაიკითხა.

... ექვთიმე თაყაიშვილის დიდი პატივისცემა ჰქონდა, თუმცა მის მოქმედებას სრულიად ნორმალურად მიიჩნევდა – „აბა, სხვანაირად როგორ უნდა მოქცეულიყოო“. ეს ორი პიროვნება ძალიან ჰგავდა ერთმანეთს, მინდა მათზე დოკუმენტური ფილმი შევქმნა, დიდი მასალა მაქვს შეგროვილი. ჰგავდნენ იმიტომ, რომ ორივე პირადულზე მაღლა ეროვნულს აყენებდა, განგებამ ამიტომაც თუ ისურვა, გვერდიგვერდ რომ განისვენებენ.

საათობით იჯდა და ელოდა ეს ჭლექიანი კაცი ვეებერთელა პორთფელით, რომელშიც ელაგა საჭირო წიგნები, მასალები, რუქები, მწერალთა კავშირში, გამომცემლობებში, ცეკაში, საათობით იჯდა და ელოდა... „წავიდა“?, – იკითხავდნენ და მეორე კარიდან ეპარებოდნენ ძლიერნი ამა ქვეყნისანი.

მის არქივში უამრავი მასალაა საზღვრებზე, მოსახლეობის შემადგენლობაზე, ტერიტორიაზე, რომელ საუკუნეში სად, რამდენი არაქართველი ცხოვრობდა. მოსახლეობის აღწერისას დაჰკანკალებდა, არცერთი ქართველი არ უნდა გამოჰკლებოდა საქართველოს.

...დიდი ეპისტოლარული მემკვიდრეობა დაგვიტოვა: წერილები საყვარელი მეუღლისადმი, მიმოწერა ექვთიმე თაყაიშვილთან, გრიგოლ რობაქიძესთან, ლავროსი კალანდაძესთან, უამრავი წერილი კონსტანტინესთან. „აბა, შენ იცი, ვეფხო, უჩემობა არ შეიმჩნიო, შენი მტრისა ვარ ლახვარი“, მალე შევხვდებით ერთმანეთს და „ვიგენიოსებთ“, – წერს ერთგან დიდი მწერალი.

... მწერალთა რიგები „გადაახალისეს“, კავშირიდან გარიცხეს ორი „რეაქციონერი“ „შოვინისტი“ – კონსტანტინე გამსახურდია და მწერალთა კავშირის შექმნის მოთავე პავლე ინგოროყვა. 1931 წელი იყო.

... „გიორგი მერჩულეს, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და მეცხრამეტე საუკუნის მოღვაწეთა შემოქმედების ღრმა ანალიზი, სვანეთის საისტორიო ძეგლები, ქება-დიდება ქართული ენისა, თამარ მეფის „იამბიკონი“, განსაცვიფრებელი „რუსთაველიანა“, მის მიერ დაწერილი და მოპოვებული, თამამად ეყოფოდა სამუშაოდ მთელ საუკუნეს ერთ რომელიმე სამეცნიერო დაწესებულებას“. ნ. დუმბაძე.

... ვინ უწყის, რამდენი წელი შეალია „ვეფხისტყაოსნის თითოეულ სტროფს, რუსთაველის 800 წლის იუბილეზე კი გარიყული აღმოჩნდა. საქართველოს ჭირ-ვარამში დამდნარი კაცი ამ იუბილეს კუთხეში მიყუჟული ტელევიზიით ისმენდა. რა მოხდა მერე, მე ვარ ჯარისკაცი ჩემი ხალხისო, – იმეორებდა.

...გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, სრულიად საქართველოს პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II ასეთი ბარათი გამოუგზავნა: „საქართველოს დიდ შვილს, ერის ბერმუხას, ახალგაზრდობის წმინდა წინამძღოლს, დიდად დამაშვრალს და მრავალ ღამენათევს, ჩვენი ერის ისტორიის დიდ მესაიდუმლეს, ხილული და ციური საქართველოს დამამშვენებელს, ბატონ პავლე ინგოროყვას, ქრისტესმიერი სიყვარულით, რწმენით, პატივისცემით, იმედებით... იხარეთ ორსავე სოფელსა შინა, ამინ!

1982 წელს პავლე ინგოროყვა გარდაიცვალა. კაცი, რომელსაც ტკიოდა ყველაფერი, რაც ტკიოდა მის პატარა ქვეყანას.

მადლობის მეტი რა გვეთქმის ბატონი გუგულისა და ქ-ნი ლეილას ოჯახზე, ასე სათუთად რომ ინახავენ დიდი წინაპრის ხსოვნას.

ჩვენ მოუთმენლად ველით გუგული მგელაძის მიერ გადაღებულ დოკუმენტურ ფილმს დიდ შვილებზე. ვფიქრობთ, აქ მას ვერავინ შეეცილება.

**ესაუბრა ნანული ბუკია**

**სურათზე: ქეთევან ბაქრაძე-ინგოროყვა**



## ჩვენი ნანული

ჩვენს რედაქციაში პატარა შინაური იუბილე გვაქვს. ჩვენს ტექნიკურ რედაქტორს ქ-ნ ნანული ბუკიას, არ გავამხელთ რამდენი, მაგრამ მნიშვნელოვანი მრგვალი თარიღი შეუსრულდა. გამხელით იმიტომ არ ვამხელთ, რომ ნანულის შემხედვარე, სიმართლეს მაინც არ დაგვიჯერებთ. ჩვენც არ გვჯერა, რადგან მისი ენერგია, ხალისი, დაუზარლობა, ინტერესი ჰა-ჰა, ორმოც წელს თუ მიგაცემინებთ ჩვენი იუბილარისათვის. ჰოდა, იყოს ასე. ქალი იმდენი წლის არის, რამდენადაც გამოიყურება და როგორც მუშაობს, – დავძენდით ჩვენ.

ისეთი მოწადინებით და ხალისით ამზადებს წერილს ჟურნალისათვის და მისი შეფასების მოლოდინში დამწყები ჟურნალისტივით წითლდება, ისეთი გამომეტყველებით მოაქვს სასიგნალო ეგზემპლარი რედაქტორთან, რომ ასაკზე საუბარი მეტისმეტად უადგილოდაც კი გვეჩვენება.

ასე რომ, მივულოცოთ ჩვენს ნანული ბუკიას იუბილე და ვუსურვოთ, ყოველთვის გაჭირვებოდეთ მისი ასაკის გამოცნობა, იმდენად მხნედ, ენერგიულად და ახალგაზრდულად გამოიყურებოდეს და საქმიანობდეს იგი შინ და გარეთ.

# ქუთაისში, როგორც ნიუპორტში

ნოვაცია



დიპლომების საზეიმო გადაცემა



პროფესორი მადონა მეგრელიშვილი

ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ენის კათედრამ, კათედრის გამგის პროფესორ მადონა მეგრელიშვილისა და ნიუპორტ-ქუთაისის ასოციაციის თაოსნობით კიდევ ერთ სიახლეს დაუდო სათავე. ეს გახლავთ ქსუ კურსდამთავრებულთათვის დიპლომების გადაცემის საზეიმო ცერემონიალი საერთაშორისოდ აღიარებული ბრიტანული მოდელის მიხედვით.

საქართველო კუთვნილებისამებრ უბრუნდება ევროპულ ოჯახს, ითვისებს მის კულტურას, მისაბაძ ტრადიციებს. გაივლის დრო და ჩვენი თაობისათვის საამაყოდ დარჩება წინაპართა ნაოცნებარის უმტკივნეულო აღსრულების მნიშვნელოვანი ნაბიჯები. ეს არ ნიშნავს ქართული ტრადიციების უგულველყოფას, მისთვის ეროვნული საძირკვლის გამოცლას, ეს ნაბიჯები სწორედ ეროვნულის განმტკიცების, გაფართოების, გავრცელებისა და მტკიცე ბურჯზე შეყენების შორს გამიზნულ ამოცანას ისახავს.

კარგი და მისაღები რომ შეამჩნიო, აითვისო და გაითავისო ნიჭია საჭირო, რომელიც არც თუ ისე ძუნწად გააჩნია ქართველ კაცს. ამ იმედით გადაწყვიტა ინგლისური ენის კათედრამ ღრმად შეესწავლა ევროპული საგანმანათლებლო სისტემა, მისი ყველა ნიუანსი.

ბევრი საინტერესო დაინერგა კათედრის საქმიანობაში. დიპლომების გადაცემის საზეიმო ცერემონიალი მანტიებში, რომელიც ამ სისტემის ერთი დეტალია, ნამდვილად დიდი სიახლეა უნივერსიტეტის ცხოვრებაში.

ამას წინათ სპეციალურ მანტიებში გამოწყობილმა ქსუ ინგლისური ენის კათედრის მასწავლებლებმა საზეიმოდ მიულოცეს თავიანთ კურსდამთავრებულებს უნივერსიტეტის დამთავრება. 1998-1999 წელს ინგლისური ენისა და ლიტერატურის სრული კურსი დაასრულა 20-მა სპეციალისტმა, რომელთაგან წარჩინებითი დიპლომი მიიღო 10-მა, ხოლო ინგლისურ ენაში ფრიადი 14-მა დაიმსახურა. ბაკალავრის ხარისხით 23-დან 11-ია წარჩინებით კურსდამთავრებული. მოცემული ციფრები მეტყველებს ინგლისური ენის კათედრის სერიოზულ წარმატებებზე. წელს კი კათედრამ კიდევ ერთხელ გააოცა უნივერსიტეტი ერთი უპრეცენდენტო ფაქტით. როგორც ჩვენთვის ცნობილია, არამარტო უნივერსიტეტის სინამდვილეში, არამედ მთელს რესპუბლიკაში პირველად, კათედრამ სამუშაოდ მოიწვია 1998-99 სასწავლო წლის კურსდამთავრებულთა ერთი ჯგუფი. მათგან ხუთმა ამ დღეებში წარმატებით ჩააბარა გამოცდები – სამი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ორი ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტი გახდა. მანტიების დიზაინი ნიუპორტში გაკეთდა, რომლის შესრულებაც ჩვენმა ბრიტანელმა მეგობრებმა ხელოვნების ლიცეუმს, კერძოდ კი მის მოდელიორს მაკა კახიძეს ანდეს.

ასე, რომ შესაფერის მანტიებში გამოწყობილი კათედრის პროფესორ-მასწავლებლები და უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები შეკრებილი აუდიტორიის წინაშე წარსდგნენ. მასპინძელი ქალაქისა და უნივერსიტეტის ფართო წარმომადგენლობასთან ერთად აქ იყვნენ უელსის უნივერსიტეტის ნიუპორტის კოლეჯის განათლების კვლევითი დეპარტამენტის გამგე პროფ. ჯონ რობერტსი, იმავე უნივერსიტეტის სწავლების ტექნიკურ საშუალებათა კოორდინატორი ბატონი რიჩარდ ქლარკი და კადრების განყოფილების გამგე ქ-ნი ბეთან კუპერი.

კურსდამთავრებულებმა სიამაყით წარმოთქვეს უნივერსიტეტის დამთავრების საპატიო ფიცი, რომელსაც ომახიანად შეუერთდა ინგლისური ენის სპეციალობის 200 კაციანი გუნდი სტუდენტური ჰიმნით Gaudiamus.

უელსის უნივერსიტეტის ნიუპორტის კოლეჯის განათლების კვლევითი დეპარტამენტის გამგემ პროფესორმა ჯონ რობერტსმა თავის მისასალმებელ სიტყვაში ამ დღით გამოწვეული აღფრთოვანება და სიხარული ვერ დაფარა. ინგლისური ენის კათედრას მიულოცა ეს გამარჯვება და მომავალ საქმიანობაში წარმატებები უსურვა. ქართველი მამაკაცების მიმართ კი „საყვედური გამოთქვა": „ვერ ვხვდები, რატომ არიან ისინი ასე მწყრალად განწყობილი ინგლისური ენის შესწავლის მიმართ? რა არის, ამდენი კურსდამთავრებული და არც ერთი კაცი! (აქ შეეშალა ბატონ ჯონს, იყო კაცი, როგორ არ იყო, მაგრამ სამწუხაროდ ორი!) მე არ ვიცი როგორ ითმენენ ქართველი მამაკაცები და ასეთი მშვენიერი ქალბატონების – ლექტორ-მასწავლებლების გარემოცვაში ყოფნას არ ცდილობდნენ. მე სიამოვნებით გავხდებოდი მათი სტუდენტი".

ნიუპორტიდან ჩამოსულმა ორმა სტუმარმაც ძალიან მაღალი შეფასება მისცა კათედრის ამ წამოწყებას და იმედი გამოთქვა, რომ უნივერსიტეტში საფუძველი ჩაეყრება ამ დიდებულ ტრადიციას, რომელიც ბრიტანული საუნივერსიტეტო ცხოვრების ორგანულ ნაწილად ითვლება.

შემაჯამებელი სიტყვით გამოვიდა კათედრის გამგე პროფ. მადონა მეგრელიშვილი, რომელმაც მადლობა გადაუხადა შეკრებილ საზოგადოებას მობრძანებისათვის, ყველას, ვინც მონაწილეობა მიიღო პროგრამის მომზადებაში. მან განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა ნიუპორტელ სტუმრებს, რომლებმაც ნამდვილად გაალამაზეს ზეიმი. ისინი ჩვენს უნივერსიტეტს გამოცდილების გაზიარების მიზნით ეწვივნენ TEMPUS-ის პროგრამით. იგი ერთ-ერთი დიდი პროგრამაა, რომელიც ამ ორი ქალაქის ასოციაციათა ძალისხმევით მომზადდა. ბოლოს კი ქალბატონმა მ. მეგრელიშვილმა სიტყვა გადასცა კათედრის მასწავლებლებს, რომლებმაც ბრიტანეთის და ა. შ. შ. საელჩოებიდან და ნიუპორტიდან მოსული წერილები წაიკითხეს. კერძოდ, უელსის პარლამენტის წევრის, განათლების მინისტრის როზმარი ბატლერის, ნიუპორტის მერის, ნიუპორტ-ქუთაისის ასოციაციის თავმჯდომარის დოქტორ ქეროლაინ მექლეჰლენის, ქსუ საპატიო პროფესორის დოქტორ ქეთრინ ფილფოტის, მისი აღმატებულება ბრიტანეთის ელჩის მოადგილის პოლ უელშისა და აშშ-ს საელჩოს პრესისა და კულტურის პირველი მდივნის ვიქტორია სლოუნის.

რა იყო არაჩვეულებრივი, რამაც ამ ლამაზ დღესასწაულს ასეთი რეზონანსი მისცა? წარმოიდგინეთ მსოფლიო რუკაზე ძნელად მისაგნებ პატარა ქვეყნის, კიდევ უფრო პატარა პერიფერიაში, ტარდება რიტუალი ზუსტად იმ სტანდარტების დაცვით, როგორც ეს დიდი სახელმწიფოების დიდ უნივერსიტეტებს ეკადრებათ. ინგლისური ენის კათედრის პროფესურა, მაგისტრები და ბაკალავრები ამ დღეს უნიფორმებით წარსდგნენ აუდიტორიის წინაშე, ყველა წესის დაცვით და ამ ტრადიციას ქუთაისში სათავე სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ენის კათედრამ დაუდო.

**მაია ალავიძე**

# ქართველ ქალებზე უმშვენიერესი

თუ გახსოვთ ძირძველ ქართულ ოჯახებში სტუმარს დასათვალიერებლად საოჯახო ალბომს გამოუტანდნენ ხოლმე. ალბომის ფურცლებიდან ოჯახის რჩეული წინაპრების მშვენიერი, დარბაისელი, მეტყველი სახეები შემოგვცქეროდნენ და ოჯახის წარსულზე ძალზე შთამბეჭდავად და სახიერად გვიამბობდნენ.

ადამიანის სახე ხომ საინტერესო წიგნივით იკითხება!

ალბომის გაცნობის შემდეგ ისეთი შეგრძნება გიჩნდებოდა, რომ უფრო კარგად იცნობდი ამ ოჯახს, მის ფესვებს, რადგან მართლაც ჭკვიანურად თქვა ქართველმა კაცმა: დედა ნახე, მამა ნახე...



დამანა მდივნიშვილი

ამ ჩვეულებამ, ისე როგორც სხვა მრავალმა თავისმოსაწონებელმა ჩვევამ, ჩაილურის წყალი დალია.



ანა რატიანი

დღეს ალბომი კი არა, მასპინძელმა ტელესერიალის ცქერას თუ თავი ანება და სტუმარი გულიანად მოიკითხა, ესეც დიდი წყალობაა.

და ჩნდება ნოსტალგია იმ გულითადობაზე, იმგვარ ოჯახებზე, იმ ძველებურ, სქელ ალბომზე, რომლის ყოველი ფურცელი დიდი ცხოვრების თითო მშვენიერი ეპიზოდი იყო.

და აი, ქალბატონმა დამანა მდივნიშვილმა — თავად ესთეტმა და სილამაზის ტრფიალმა, მშვენიერი საჩუქარი უბოძა ყველა ქართულ ოჯახს.

„მშვენიერთა სავანე“ სწორედ ისეთი ალბომია, ყველა უცხო სტუმართან რომ მოვიწონებთ თავს ქართველი ქალის სილამაზით და კდემამოსილებით. როცა ქართველი ქალის სილამაზეზე ჩამოვარდება სიტყვა, ჩვენ ხშირად ვიშველიებთ ბაირონს, საქართველოს „სილამაზის მშობლიური მხარე“ რომ უწოდა. მისსავე ცნობილ ფრაზას ულამაზესი ქალის დასახასიათებლად რომ დაწერა: „ის ისეთი ლამაზი იყო, თვით ქართველ ქალსაც კი შეედრებოდა“.

იმანუილ კანტმა თავისი ნატიფი სტილით საქართველოს „მზეთუნახავთა ორანჟერეა“ უწოდა.ასეთი ჩვენთვის სასიქადულო მრავალი სხვა ციტატაც შეიძლება მოვიყვანოთ (უფრო სრულყოფილად ამას თვით „მშვენიერთა სავანეში“ იხილავთ.) ავტორს რუდუნებით შეუგროვებია ისინი, მაგრამ ასჯერ გაგონილს ერთხელ თვალით ნანახი სჯობსო, ნათქვამია. და ამ ალბომის ღირსებაც ის გახლავთ, რომ შესაძლებლობას გვაძლევს მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან დღემდე სილამაზით გამორჩეულ ქართველ ბანოვანთა მშვენიერებით დავტკბეთ. უცხოსთვისაც თვალხილული გავხადოთ და მომავალ თაობებსაც შემოვუნახოთ ქართველი ქალის სახიერება და მშვენება. ალბომისათვის ესოდენ მოხდენილი სახელწოდება ავტორმა ცნობილი სასულიერო პირის დელაპორტის გამონათქვამიდან აიღო, რომელიც წერდა: „საქართველოში ყველაფერი კარგია, მაგრამ ქართველ ქალებზე უმშვენიერესი მე არაფერი მინახავს. იმათ რომ ვუცქერდი, უნებლიეთ განცვიფრებული ვიყავი. ამ ქვეყანას კაცმა შეიძლება „მშვენიერთა სავანე უწოდოს“.

„მშვენიერთა სავანე“ ქ-ნმა დამანამ დიდიხნის წინ ჩაიფიქრა და წლების მანძილზე მუშაობდა მისი განხორციელებისთვის. შეიძლება ითქვას, ჩანაფიქრს, ხორცი ჩვენს თვალწინ ესხმებოდა. „საქართველოს ქალის“ რედაქციაში ქ-ნი დამანა ბეჭდავდა მასალებს მომავალი ალბომისთვის, ვარჩევდით, ვზრუნავდით იმაზე, რომ წლების დინებით გაცრეცილი ლამაზი ბანოვანის ფოტო როგორმე „ამოგვექექა“. ამ ალბომში შეტანილმა რამდენიმე რჩეული სილამაზის მქონე ქალბატონის ფოტომ ჩვენი ჟურნალის გარეკანი და ფურცლები არაერთხელ დაამშვენა. ეს გახლდათ ერთგვარი ანონსი, ჭაშნიკი, თავისებური რეკლამა.



ქრისტინე შენგელია

ასე რომ, „საქართველოს ქალს“ თავისი მ ო კ რ ძ ა ლ ე ბ უ ლ ი წვლილი აქვს შეტანილი ამ წიგნი-ალბომის შექმნაში. როცა ავტორის ჩანაფიქრის შესახებ გაიგეს მკითხველებმა, ბევრი შესანიშნავი ფოტო მიაწოდეს მას. ასე გაჩნდა ალბომში ძველი არისტოკრატული ოჯახების: ბაგრატიონების, ერისთავების, წერეთლების, დადეშქელიანების, გელოვანების, ჭავჭავაძეების, ანდრონიკაშვილების და სხვათა მშვენიერი ბანოვანების ფოტოები. ამ მხრივ, აღსანიშნავია ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორის, „ბაგრატიონთა სახლის“ ხელმძღვანელის, უკეთილშობილესი პიროვნების ნინო ბაგრატიონის წვლილი, რომელიც ფოტოებთან ერთად, ბიოგრაფიულ ცნობებსაც აწვდიდა ქ-ნ დამანას, რაც საშუალებას აძლევდა მას, ღირსეულთა შორის ღირსეულები შეერჩია.

ასე დაიბადა ეს ალბომი (იგი მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე დაიბეჭდა ბულგარეთში) და მისი პრეზენტაცია გასული წლის მიწურულს შედგა აჭარის წარმომადგენლობაში.

იშვიათად თუ სადმე შეხვდებოდით ერთად შეკრებილ ამდენ ლამაზ ქალს. ეს სილამაზე და კეთილგანწყობა არაჩვეულებრივ აურას ქმნიდა და სულაც აღარ მოგეჩვენებოდათ გადაჭარბებად პოეტის სიტყვები „ლამაზი არის თბილისში ყველა“.

საღამოს პატარა სიურპრიზიც ახლდა.

ამ დღის სამახსოვრო სილამაზის პრიზი გადაეცა ორ მშვენიერ ახალგაზრდა ქალს – ცნობილ მუსიკისმცოდნეს და ჟურნალისტს ანა რატიანს და სრულიად ახალგაზრდა დედას, მომხიბვლელ ქრისტინე შენგელიას, რომლის ფოტო ალბომში სწორედ ჩვენი ჟურნალის გარეკანიდან მოხვდა.

ასე კარგად გასრულდა კარგად დაწყებული საქმე, რომელსაც უსათუოდ ექნება გაგრძელება, რადგან საქართველოში იმდენი ლამაზი ქალი დადის, რომელიც ნებისმიერ „მზეთუნახავთა ორანჟერეას“ დაამშვენებს, რომ მათი მეათედიც კი ალბომში ვერ მოხვდა.

ასე რომ... გაგრძელება იქნება, უნდა იყოს, სხვაგვარად ღმერთმა ნუ ქნას.

**ნარგიზა მგელაძე**

# ბოროტისა და კეთილის ჭიდილი

*ქალბატონი ნუნუ ქადეიშვილი ცნობილი მთარგმნელი და ლექსიკოგრაფია. მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება საქართველოში ფრანგული ლიტერატურის პროპაგანდას მიუძღვნა. მისი დამსახურებაა, დღეს ქართველი მკითხველი ინტერესითა და სიამოვნებით რომ ეცნობა ფრანგ კლასიკოსებსა და თანამედროვე მწერლებს. სულ ახალახან მან თავის მოწაფეებთან ერთად ჩინებული საჩუქარი უძღვნა ენის შესწავლის მსურველთ და ფრანგულ-ქართული ლექსიკონის სამტომეულზე დაასრულა მუშაობა.*

*ქ-ნმა ნუნუმ რთული ცხოვრება განვლო, მაგრამ პირადულზე საუბარი არ უყვარს, არადა სათქმელი ბევრია. იგი ხომ უდროოდ დაღუპული ქართველი მწერლის კოტე ხიმშიაშვილის მეუღლე გახლავთ.*

**– ქალბატონო ნუნუ სულ მარტო ცხოვრობთ?**

– ახლობლები მყავს, მაგრამ საკუთარი ოჯახები აქვთ და ზედმეტ ბარგად ვერავის დავაწვები. ვარ ჩემთვის, გონება ჯერჯერობით არ მღალატობს, ეკონომიურადაც რაღაცას ვახერხებ – როგორც რეპრესირებულის მეუღლეს პენსია მეძლევა, უნივერსიტეტიდანაც მაქვს ხელფასი, ხანდახან რაიმე ნივთს – ფაიფურს გავყიდი ხოლმე და იოლას გავდივარ. ცხოვრება მუშაობაში გავატარე, სხვაგვარად სიცოცხლე არ შეიძლებოდა. ვთარგმნიდი. 1997 წლიდან ჩემს ათკაციან ჯგუფთან ერთად ფრანგულ-ქართულ ლექსიკონზე დავიწყე მუშაობა. ორი ტომი უკვე გამოვიდა, მესამეს თებერვალში ველოდები.



ნუნუ ქადეიშვილი მეუღლესთან – კოტე ხიმშიაშვილთან ერთად

**– ალბათ ახლა მაინც გაიმართებით ცოტათი წელში?**

–რა გითხრათ, ჯერ ერთი თეთრიც არ მიგვიღია. გვპირდებიან, სამივე ტომი რომ გაიყიდება, მაშინ გადაგიხდითო. თითოეული წიგნი ოცდახუთი ლარი ღირს, ვერც სტუდენტი ყიდულობს და ვერც მასწავლებელი. საფრანგეთიდან გვწერენ, გამოგვიგზავნეთო, მაგრამ საელჩო ამ საქმეში არ ერევა, არც – უნივერსიტეტი. ხელმოწერითაც ძნელად ვრცელდება, არადა, სრულყოფილი გამოცემაა, ჩემობით არ ვამბობ.

**– ფრანგული ენა ოჯახური ტრადიციის გამო აირჩიეთ?**

– შეძლებულ ოჯახში ვიზრდებოდი. მე და ჩემს ძმებს გერმანელი ქალი გვასწავლიდა ენას. მერე გერმანელები გაასახლეს და ჩვენ ფრანგულისაკენ გადავინაცვლეთ. სხვათა შორის, უნივერსიტეტში გერმანულის განხრით ჩავაბარე, მაგრამ ჩემი პედაგოგი, გვარად მერკუროვი მალე დააპატიმრეს და ფრანგულ განყოფილებაზე გადავედი. მაშინ უნივერსიტეტში ეს პრობლემა არ იყო. თანაც, ჩანს ბედმა ასე ისურვა. შესანიშნავ ჯგუფში მოვხვდი. ჩვენთან სწავლობდნენ: კოტე ხიმშიაშვილი – ასეთი განათლებული და ნიჭიერი ახალგაზრდა სხვა აღარავინ შემხვედრია, რეზო მარგიანი, ალიოშა საჯაია... რა გითხრათ, ძალიან კარგები იყვნენ.

**– თქვენს მეუღლეზე ვისაუბროთ...**

– ძალიან მიჭირს. რამდენი წელი გავიდა და მე და დოდოს (კოტე ხიმშიაშვილის და, ცნობილი საბავშვო მწერალი დოდო ხიმშიაშვილი-ვადაჭკორია -ავტ.) მოგონებები არ გაგვხუნებია, გამოულეველია ფიქრი და სევდაც. რისთვის დაიღუპა ასეთი ნიჭიერი ადამიანი. კი ბატონო, მესმის რომ საქართველოს დამოუკიდებლობის იდეით იყო ატაცებული, მაგრამ ხომ არაფერი დაუშავებია?!

ომის დროს სამხედრო ნაწილში მასავით ქვეყნის დამოუკიდებლობაზე მეოცნებე ახალგაზრდები მსჯელობდნენ, მაგრამ მათ შეიარაღებული აჯანყების მცდელობა მიაწერეს და 17 ერთმანეთზე საუკეთესო ქართველს დახვრეტა მიუსაჯეს. ამ ცოდვის ორომტრიალში 33 ახალგაზრდა მოჰყვა, მათგან თორმეტი ჩვენი ასპირანტი იყო. აი, ისინიც: ზურაბ მესაბლიშვილი, მიშა კაციტაძე, კოტე ჯოგლიძე, შალვა შავიანიძე, გივი თარგამაძე, აბო ფარესიშვილი, გიორგი ქადაგიძე, გიორგი იმერლიშვილი, თინა თუშმალიშვილი, თინა გონიაშვილი, ლეო კვაჭაძე. აქედან რამდენიმე გაათავისუფლეს, დიდი ნაწილი დაიღუპა.

**– ამბობთ, რომ ახალგაზრდობის დიდი ნაწილი უნივერსიტეტელი იყო. ალბათ თავისუფლებისმოყვარე იდეები აქვე ჩაისახა?**

– – არა. განჯაში მობილიზებულ კოტეს გიორგი იმერლიშვილი შეხვედრია და იქ წამოუწყიათ საუბარი. მერე კოტე გორში გადმოიყვანეს, იმერლიშვილი კი ფრონტზე დააპატიმრეს. კოტეც ისე უეცრად აიყვანეს გორში ქუჩაში მიმავალი, რომ შტაბში არაფერი იცოდნენ და თბილისში ჩემთან დეზერტირობისათვის ეძებდნენ.

**– რამდენი ხნის ცოლ-ქმარი იყავით მაშინ?**

– წელიწადნახევრის.

**– შინ თანამოაზრეები არ მოუყვანია? ადრე ახალგაზრდები ხომ ხშირად იკრიბებოდნენ ოჯახებში სასაუბროდ?**

– ჩვენთან არ მოდიოდნენ. ამიტომაც ვამტკიცებ, ომამდე არაფერი ყოფილა-თქო. კოტე რომანზე მუშაობდა, ღამეებს კითხვაში ათენებდა, ასპირანტები ვიყავით და საგნებიც ხომ უნდა მოგვემზადებინა.

მერე დაპატიმრებები დაიწყო. ცხრა თვეს სატუსაღოში ისხდნენ. 1942 წლის სექტემბერში ტრიბუნალის პროცესი წამოიწყეს, რომელიც 11-დან 20 სექტემბრამდე გრძელდებოდა. 17 ოქტომბერს კი დახვრიტეს, თუმცა ასეთ სასტიკ სასჯელს არცერთი არ იმსახურებდა.

ერთი გამომძიებელი იყო, მარქაროვი, ნამდვილი სისხლისმსმელი. ის პირადად გაემგზავრა მოსკოვში დახვრე-

ტის მოთხოვნით. სხვათა შორის, ეს სიკვდილით დასჯის უკანასკნელი შემთხვევა იყო. მას შემდეგ კიდევ ბევრი დაიჭირეს – გრიგოლ კოსტავა, ივანე ლოლაძე... მაგრამ არცერთი აღარ დაუხვრეტიათ.

**– დავუშვათ არაქართველ გამომძიებელს დიდად არ ანაღვლებდა ჩვენი ახალგაზრდების ბედი, მაგრამ სხვებს, საზოგადოებას?**

– საზოგადოებას რა შეეძლო? ხშირად მხვდებოდა ხოლმე არნოლდ ჩიქობავა და ამბებს მეკითხებოდა, მეტის გაკეთება შეუძლებელი იყო. მერე შევიტყვე, პროცესში ქართველი გამომძიებლებიც მონაწილეობდნენ, სისასტიკით რომ არ ჩამორჩებოდნენ მარქაროვს.

...კოტე ძალიან განათლებული ახალგაზრდა იყო. არც ჩვენ ვიყავით უვიცნი, ბევრსაც ვკითხულობდით, მაგრამ ის სხვა იყო. ბრწყინვალედ იცოდა რუსული და ევროპული ლიტერატურა, არაჩვეულებრივად წერდა. მისი პირველი ნოველები რომ დაიბეჭდა, ჯერ კიდევ არ იყო სტუდენტი. დიდი ხნის შემდეგ, როცა მისი რეაბილიტაცია მივიღე, მოთხრობების კრებული გამოვეცი, მეორე წიგნში თითქმის ყველა მოთხრობას, ლადო ასათიანთან და მირზა გელოვანთან მიმოწერას და რეცენზიებს მოვუყარე თავი. მერე გურამ გვერდწითელმა დამირეკა, რეპრესირებული მწერლების კრებულს ვუშვებთ, ცალკე წიგნად გამოვაო და მეც ყველაფერი, რაც გამაჩნდა კოტესი, ერთ პიროვნებას ჩავაბარე... დაკარგა. წარმოგიდგენიათ, აქამდე ვეძებ, სულ მატყუებს, დავურეკავ და მემალება. ბოლოს მითხრა, იქ აღარ ვმუშაობ, ის კი ვიცი, რომ ყველა საქაღალდე წვიმამ გააფუჭაო. ნეტავ, სად იყო ასეთი წყალდიდობა?

**– სულ აღარაფერი დაგრჩათ?**

– მხოლოდ ის, რაც გამოვეცი და რამდენიმე ნოველა, რომელიც კრებულში არ შესულა.

**– ძალიან სამწუხაროა, ასეთი ფაქტები რომ ხდება დღეს, მაგრამ მოდით, ისევ წარსულს დავუბრუნდეთ. როგორ ფიქრობთ, ვის კისერზეა მაგ ახალგაზრდების ცოდვა?**

– რა ვიცი, ვინმე ილო იმერლიშვილზე ამბობენ, სინამდვილეში სულ სხვა გვარით რომ იყო შეგზავნილი ჯგუფში. მართლა ასე იყო თუ არა, ვერ გეტყვით, მაგრამ, ფაქტია, პირველად სწორედ ავჭალის ჯგუფი ჩავარდა, რომელშიც ეს იმერლიშვილი, ჯოგლიძე, ძიგვაშვილი და შავიანიძე იყვნენ.

**– რთული ცხოვრებისეული გზა განვლეთ, უდავოდ საინტერესო ადამიანებთანაც გექნებოდათ ურთიერთობა...**

– კოტეს ეს ამბავი რომ შეემთხვა, ასპირანტურაში ვსწავლობდი. ყველაფერს დავანებე თავი. ერთხელ გიორგი ახვლედიანმა დამიბარა და მითხრა, შენ ხომ გიყვარდა კოტე, მისი ხათრით მაინც არ დაანებო სწავლას თავიო. როგორღაც ჩავაბარე დარჩენილი საგნები და მუშაობას შევუდექი. ძალიან ბევრი სასკოლო და უმაღლესი სასწავლებლის სახელმძღვანელო გამოვეცი, დღემდე იბეჭდება. მერე თარგმნა დავიწყე: ზოლა, დიუ გარი, საგანი, მერიმე, ერია, მორიაკი, ფრანსი, მიუსე...

**– მათ შორის, როგორ თვლით, რომელია უფრო წარმატებული და პირიქით, რომელი არ გამოგივიდათ?**

– ზოლა არ გამომივიდა ისეთი, როგორც საჭიროა, სამაგიეროდ ძალიან კარგია საგანი, მერიმე, მორიაკი, ერია.

**– იმ მძიმე წლებში ისეთი ადამიანებიც იქნებოდნენ, თქვენთვის გამარჯობის თქმასაც რომ თაკილობდნენ.**

– მერე რამდენი. გიორგი ახვლედიანის მფარველობით საკანდიდატო დისერტაცია რომ დავიცავი, დოქტორანტურაში მოსკოვში უნდა წავსულიყავი. ხელი შემიშალეს და არ გამიშვეს, სულ ცხვირში მადენდნენ, რეპრესირებულის ცოლიაო. ჩემი თარგმანები წლობით ეწყო გამომცემლობაში. ისეთმა ხალხმა მაქცია ზურგი ჩემი და კოტეს მეგობრები რომ მეგონა. როცა ფრანსუაზა საგანის ორი რომანი ვთარგმნე, გამომცემლობის დირექტორს მივუტანე, რას ვიფიქრებდი უარს თუ მეტყოდა. იცით, რა მომიზეზა? ჯერ რუსულად არ უთარგმნიათო.

ერთხელ განათლების სამინისტრომ რომელიღაც მეთოდკომისიაში გამანაწილა, იქაც უარი მითხრეს, ასეთი შემთხვევა უამრავი იყო.

**– თქვენ რომ გდევნიდნენ მათგან, ახლა თუა ვინმე ცოცხალი?**

– არიან და მშვენივრადაც გრძნობენ თავს. ერთმა საყვედურიც შემომითვალა, შენი თარგმანები რატომ არ მომიძღვენიო, არადა „ბიჭებთან" დაკავშირებით არა მაქვს მასზე კარგი წარმოდგენა. არც მაშინდელი მწერალთა კავშირი დახმარებია კოტეს, ერთი სიტყვაც არ შეუწევიათ მისთვის. რომ გეკითხათ, ძალიან ნიჭიერიაო, ამბობდნენ.

**– ახლა თუ თარგმნით რამეს?**

– არა. დიდი ძალღონე შევალიე ლექსიკონს.

**– თქვენი ცხოვრებიდან გამომდინარე, სუსტი პიროვნება ნამდვილად არ ყოფილხართ. თავად როგორ დაახასიათებდით საკუთარ თავს?**

– ძალიან ვუყვარდი სტუდენტებს. მიკვირს კიდეც, რადგან ძალიან მკაცრი და მომთხოვნი ვიყავი. მაინც მგონია, რომ კოტეს შემდეგ ცოტათი გავუხეშდი. რა ვქნა, ზოგჯერ სასტიკად და უსამართლოდ მექცეოდნენ და მეც თავს ვიცავდი. არადა ისეთი გულთბილი და კეთილმოსურნე ვიყავი, შეძლებისდაგვარად ვეხმარებოდი ყველას, გადახდით კი ბევრმა უმადურობით გადამიხადა.

**– ახლა როგორია თქვენდამი საზოგადოების დამოკიდებულება?**

– რა ვიცი. 80 წლის რომ გავხდი, მეორედ მივიღე ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედალი, კარგი ადრესიც გამომიგზავნეს, მე ხომ გარეთ ვერ გავდივარ. ღირსების ორდენზე წარმადგინეს და არ მომცეს. ათი წელი კათედრის გამგე ვიყავი, პროფესორის წოდება უნდა მოენიჭებინათ, არ მომცეს. ბოლოს ჩემი კათედრა მოუნდა ერთ ქალბატონს და ისიც დავთმე.

**– დიახ, თქვენ ალბათ სხვაზე მეტად გეთქმით ამა სოფლის სამდურავი...**

– ის დიდი ტკივილი რომ არა, სხვა მხრივ არა ვარ უკმაყოფილო – რაც მინდოდა, რაც შემეძლო ხომ მაინც გავაკეთე.

**– თქვენი დიდი სიყვარული?**

– არ შემიძლია ამაზე საუბარი. ერთი კია, სიყვარული ბედნიერებაა და შეიძლება ბევრი კარგი გაგაკეთებინოს.

**– უიღბლო სიყვარული ზოგჯერ აბოროტებს ადამიანს...**

– ისეთი სიყვარული მე რომ განვიცადე, მხოლოდ სიკეთისაკენ თუ გიბიძგებს...

**– მემუარებს ხომ არ წერთ?**

– მინდოდა კოტეზე დამეწერა რამე, მაგრამ ვერ შევძელი, ცუდად ვხდებოდი, არადა ერთი კარგი რომანი გამომივიდოდა.

**– გწამთ, რომ ამქვეყნად ყველაფერს ბედისწერა განაგებს?**

– რასაკვირველია. მთელი ჩემი ცხოვრება ბოროტისა და კეთილის უსასრულო ჭიდილია...

**მანანა იმესაშვილი**

# რუსული რომანსის ქართული ტრიუმფი



*გასული წლის ბოლოს მოსკოვში გამართულ რუსული რომანსის ახალგაზრდა შემსრულებელთა მესამე საერთაშორისო კონკურსზე „რომანსიადა-99“, რომელიც გაზეთმა „ტრუდმა“ კულტურის სამინისტროსთან ერთად მოაწყო, ქართულმა დუეტმა ნინო არაზაშვილისა და დათო ოთიაშვილის შემადგენლობით პირველი პრემია დაიმსახურა.*

*ნინო არაზაშვილი პროფესიით ჟურნალისტი, საქტელერადიოკორპორაციაში სტუდია „მაესტროს“ რედაქტორია და თბილისის სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტიც.*

*ბავშვობიდან მღერის — თითქმის ყველა ეტაპი გაიარა თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლითა და მე-7 სამუსიკო სკოლით დაწყებული, ტელერადიოკომიტეტის ბავშვთა გუნდით დამთავრებული. რუსულ რომანსში თამრიკო ჭოხონელიძის რჩევით სცადა ბედი, რომელიც უნივერსიტეტში ნინოს კვარტეტს კურირებდა, — შენს ლირიულ ხმას სწორედ იგი მოუხდებოდაო.*

*მას შემდეგ ნინო დიქტოფონით ხელში დადიოდა ნაცნობ-მეგობართა ოჯახებში და უფროსი თაობისაგან რომანსებს ამ გზით სწავლობდა, რადგან ჩვენში მაშინ არც საჭირო ნოტები მოიპოვებოდა და თეორიული საფუძველიც მწირი იყო.*

*ერთხელ რუსეთის საელჩოში გამართულ კონცერტზე ნინო ფილარმონიის გიტარის ერთადერთ კონცერტმეისტერს ბ-ნ სერგო ნაცვალაძეს, შემდგომში მის ყველაზე ღვაწლმოსილ პედაგოგს შეხვდა. მათი შემოქმედებითი ურთიერთობა აგერ უკვე შვიდწელიწადს გრძელდება და დღეისათვის ნინოს 120-მდე რომანსი აქვს დამუშავებული.*

*ბატონი სერგოს მოსწავლეა დათო ოთიაშვილიც, რომელიც ნინო არაზაშვილთან ერთად ერთი წელია დუეტში მღერის.*

● ● ●

**— ნინო, როგორ მოხვდით კონკურსზე?**

— შარშანწინ შემთხვევით გაზეთი „ტრუდი“ ჩამივარდა ხელთ, რომელიც კულტურის სამინისტროსთან ერთად საერთაშორისო კონკურსის ჩატარებას იუწყებოდა და ყველა მსურველს იწვევდა. მაშინვე გავაგზავნე განაცხადი, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ბოდიშის მოხდით მაუწყეს, რიგ მიზეზთა გამო, კონკურსი საერთაშორისო დონეზე ვერ ეწყობაო. მომდევნო წელს უკვე თავად გამიხსენეს და მეც დათოსთან ერთად გავემგზავრე მოსკოვში.

**— რამდენად წარმომადგენლობითი იყო კონკურსი?**

— საკმაოდ ფართო. თქვენ წარმოიდგინეთ, სეულიდან და თელ-ავივიდანაც კი იყვნენ ჩამოსული შემსრულებლები, ბალტიისპირეთზე ხომ აღარაფერს ვამბობ. რაც შეეხება დონეს, თითქმის ყველა კონკურსანტი პროფესიონალი, კონსერვატორიადამთავრებული გახლდათ. ერთადერთი ბარიერი ასაკობრივი ცენზი იყო (30 წლამდე).

ჟიურის კომპეტენტურობა თავად განსაჯეთ: ბოშათა თეატრ „რომენის“ ხელმძღვანელი ნიკოლაი სლიჩენკო, ალა ბაიანოვა, ნანი ბრეგვაძე (იგი მხოლოდ შესარჩევ ტურებს ესწრებოდა, შემდგომ მამის ავადმყოფობის გამო, უკან დაბრუნდა), ნადეჟდა კრასნაია, ლეონიდ სერებრეანიკოვი, რუსულ მუსიკალურ წრეებში მეტად ავტორიტეტული მუსიკისმცოდნე, გაზეთ „ტრუდის“ მიმომხილველი სერგეი ბირიუკოვი.

კონკურსი ხუთ ტურად ჩატარდა და ფინალში 12 მონაწილე გავედით. შუალედში რამდენიმე საღამოზე მიგვიწვიეს, რომელთაგან განსაკუთრებით კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გამართულ ფინანსთა აკადემიის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამოს გამოვყოფდი, რომელსაც მთელი მთავრობა და ძველი რუსი ინტელიგენცია ესწრებოდა. დიდი წარმატება გვხვდა წილად.

**— კეთილგანწყობა მაინც თუ იგრძნობოდა თქვენს მიმართ. ასე თუ ისე არარუსები აცხადებდნენ პრეტენზიას გამარჯვებაზე?**

— საოცარი კეთილგანწყობა, რადგან თავადაც სურდათ, კონკურსი მაღალი დონის ყოფილიყო. საერთოდაც, როცა სცენაზე ქართველი შემსრულებელი გამოდის, დარბაზში საოცარი გამოცოცხლება იგრძნობა და, როგორც თავად რუსებიც აღიარებენ, ქართველს აქვს და უნდა ჰქონდეს კიდეც პრეტენზია განსაკუთრებულად წარმოაჩინოს რუსული რომანსი.

**— რით ახსნით ამ ფაქტს, რატომ ასრულებენ ქართველები ასე კარგად რუსულ რომანსს?**

— ვფიქრობ ეს ჩვენი რომანტიკული ბუნებიდან უნდა გამომდინარეობდეს. ისედაც, რუსული რომანსი თავისი სტრუქტურით არ გამოხატავს რუსული „სულის ყივილს“ და, მაინცდამაინც, არც რუს შემსრულებელს ითვალისწინებს. ყოველ შემთხვევაში, ჩემს ზერომანტიკულ ბუნებას იგი საოცრად ესადაგება, ჩემი სულის გამოძახილია, ძარღვის ფეთქვა და მწამს, ამასვე გრძნობდნენ ჩვენი დიდებული წინაპრები — თამარ წერეთელი, ქეთო ჯაფარიძე, ჩიტოლია ჩხეიძე, მედეა ძიძიგური და დღეს რუსული რომანსის ბრწყინვალე შემსრულებელი ქ-ნი ნანი ბრეგვაძე.

**— მაინც რით მოხიბლეთ ეგზომ ავტორიტეტული ჟიური და მომთხოვნი მაყურებელი?**

— შესრულების საკუთარი მანერით, ემოციურობით, არტისტიზმით. კონცერტის შემდეგ ჩვენთან შემსრულებლები მოდიოდნენ და სრულიად გულღიად გვეუბნებოდნენ, — ჩვენ მხოლოდ საკუთარ ვოკალურ მონაცემებს ვუკეთებდით დემონსტრირებას, თურმე მთავარი გრძნობა და სული ყოფილაო.

არ შემიძლია აუღელვებლად არ გავიხსენო ერთი შემთხვევა — ფინალის შემდეგ ფოეში რამდენიმე ხანდაზმული ქალბატონი მოგვიახლოვდა და ცრემლმორეულებმა მადლობა გადაგვიხადეს — თქვენ ზუსტად ისე ასრულებდით რომანსებს, როგორც ჩვენს ბავშვობაში ჩვენი ბებიები მღეროდნენო.



რასაკვირველია, გამარჯვება დიდი სიხარულია, მაგრამ რუსი მაყურებლის მადლობა და იმის შეგრძნება, რომ უპატრონოდ ჩასულებმა ყოველგვარი ზურგისა და მხარდაჭერის გარეშე ისე ვთქვით სათქმელი, რომ უბრალოდ გვერდი ვეღარ აგვიარეს, აათმაგებს ამ გრძნობას.

**— ნინო რომელ შემსრულებელს ამგვანებთ თავს, ან იქნებ თვლით, რომ საკუთარი მანერა გაქვთ?**

– საკუთარ სტილში რომ არ ვიყო დარწმუნებული, კონკურსზეც არ წავიდოდი. იცით, რაშია საქმე? რომანსი მე კონცერტმეისტერმა შემასწავლა, რომელიც მაიძულებდა შინ, ჩემი შეხედულებისამებრ, გადამემუშავებინა იგი, თორემ პედაგოგად რომელიმე შემსრულებელი რომ მყოლოდა, ალბათ მისი გავლენის ქვეშ მოვექცეოდი.

ამასთან დაკავშირებით ერთი დეტალი მინდა გავიხსენო: ერთხელ, ერთი საღამოსათვის მერაბ თაბუკაშვილმა ქეთო ჯაფარიძის რეპერტუარიდან ჩემთვის უცნობი რომანსის შესრულება მთხოვა და, რადგან სხვა მასალა არ არსებობდა, ფირფიტა მომცა, რომელზეც ამ სიმღერას ცნობილი რუსი მომღერალი იზაბელა იურიევა ასრულებდა. მეც ამ ფირფიტით დავიწყე სწავლა და, იცით, რა მოხდა.? საკუთარი სახე დავკარგე, ზუსტად ისე ვასრულებდი რომანსს, როგორც ეს დიდებული მომღერალი. მაგრამ ეს ხომ მაინც ასლი იყო? კიდევ კარგი, რომ სიტუაციის გამოსასწორებლად ერთი კვირა მქონდა დრო.

**— თქვენს პარტნიორზე დათო ოთიაშვილზე რას გვეტყოდით?**

– ორი პარტნიორი მყავდა და ორივე დათო. პირველი დათო გერსამია გახლავთ, რუსუდან სებისკვერაძის ვაჟი, რომელთანაც ბავშვობიდან ვლერი და ქ-ნი მაცაცოს არცერთი კონცერტი არ დარჩენილა, წონაწილეობა რომ არ მიგვეღო. დათო ოთიაშვილი კი ერთი წელია რაც პარტნიორობას მიწევს. შესანიშნავი პიროვნება, დიდებული მომღერალი, ძალიან საყვარელი ადამიანი.

**— ცოტა რამ ოჯახზეც მოგვიყევით?**

– მეუღლე ილია კიკაბიძე სტუდია „მაესტროს" დირექტორის მოვალეობის შემსრულებელია, საკმაოდ კარგად უკრავს ხალხურ ინსტრუმენტებზე. საერთოდ მომღერალი ოჯახიდან ვარ. ბებიაჩემი არაჩვეულებრივად უკრავს შვიდსიმებიან გიტარაზე და სწორედ რომანსებს მღერის. მეც მან შემასწავლა სიმღერა.ორი შვილი მყავს – წლინახევრის გიორგი და შვიდი თვის ნატა, რომელიც მოსკოვშიც მყავდა, რადგან ძუძუთი ვზრდი.

**— პატარებიც ხომ არ „ცდილობენ" სიმღერას?**

– თუ გავითვალისწინებთ, რომ მუცლადყოფნის პერიოდიდანვე სცენაზე იყვნენ, არ უნდა გაუჭირდეთ.

**— სამომავლო გეგმები?**

– გაზაფხულზე პეტერბურგში ფესტივალზე „Петербургская Весна" ვართ მიწვეული, შემდეგ უკვე – „რომანსიადა-2000"-ზე საპატიო სტუმრად, გალა-კონცერტზე, როგორც ლაურეატები, სიმღერას შევასრულებთ. მანამდე კი ბატონი მერაბ თაბუკაშვილი დიდ საკონცერტო დარბაზში თამარ წერეთლისა და ქეთო ჯაფარიძის ხსოვნის საღამოს აწყობს და იქაც მივიღებთ მონაწილეობას. სხვათა შორის, ბატონი მერაბი რომ არა, რუსული რომანსი საქართველოში კარგა ხნის ჩამკვდარი იქნებოდა. იგი წელიწადში ერთ-ორჯერ მაინც ახერხებს მშვენიერი საღამოების მოწყობას.

**— ნინო, ამ წუთას ყველაზე მეტად რას ინატრებდით?**

– ჩემი შვილების კარგად ყოფნას. დედობა საოცარი ბედნიერება ყოფილა და მას ვერაფერი შეედრება...

**ესაუბრა მანანა იმედაშვილი**

# სულის ყივილი

*სილამაზე – საკუთარ თავში დაჯერებულობაა*

არასოდეს მიმაჩნდა ჩემი თავი ლამაზ ქალად, მაგრამ სარკეში კოპწიაობა მაინც მიყვარდა, ვარცხნილობას ვიცვლიდი, ვიპრანჭებოდი და გულწრფელად მწამდა, რომ გამოჩნდებოდა ვინმე სიმპათიური უამბიციო ახალგაზრდა, რომელიც მაინცდამაინც ჰოლივუდის ვარსკვლავებზე არ იქნებოდა შეშლილი და შესაძლო იქნებოდა, მე მოვწონებოდი. მაგრამ ამას წინათ ერთმა ნაცნობმა ახალგაზრდა კაცმა პირდაპირ მითხრა: ულამაზო ხარო. ახლა ჩემი თავი მეჯავრება და ვცდილობ, არც სარკეში ჩავიხედო, აღარც გარეთ გამოვიდე.

**ეკატერინე ვ.**

***რედაქციისაგან:*** ის ვიღაც ხეპრე და გაუზრდელი ბიჭი იმასაც არ იმსახურებს, ვინმემ მის ნათქვამს ყურადღება მიაქციოს. მერე კიდევ, გემოვნება ყველას სხვადასხვაგვარი აქვს. წაკითხული გექნებათ, რომ ნატალია გონჩაროვას – აღიარებულ ლამაზმანს, მისი თანამედროვენი სულ სხვაგვარად აფასებდნენ. ბევრი თვლიდა, რომ მას არც თუ ისე მეტყველი სახე ჰქონდა.

და კიდევ, გიყვარდეთ თქვენი თავი იმის მიუხედავად, თუ რას ფიქრობენ თქვენზე უზრდელი ოტროველები. ადექით დილას, აირჩიეთ იმ დღისათვის რაიმე მშვენიერი დევიზი და მთელ დღეს თავი ისე გეჭიროთ, თითქოს ქვეყნად ყველაზე მომხიბვლელი ქალიშვილი ხართ.

# ✻ ✻ ბედნიერებას ხალხის

ზაფხული იყო. ნინო კიღურაძე საზოგადოება „თბილისელის“ ქალთა საკრებულოს წევრებთან ერთად ჯავახეთის მონახულებას აპირებდა. ვთხოვე, მეც წავეყვანე. თავი შეიკავა. „ვაი თუ გაგიჭირდეთ: გზა, ზღვის დონიდან 2000 მეტრის სიმაღლე, არანაირი საყოფაცხოვრებო პირობები“... აღარ მივმალებივარ. რომ ჩამოვიდა, შევხვდი.

ქალბატონი ნინო დიდებული ოჯახის შვილია. მასზეა ნათქვამი: დედა ნახე, მამა ნახეო.

დედა ვარვარა პროფესიით არქიტექტორია. მამა, შალვა კიღურაძე ცნობილი ინჟინერ-მშენებელი, 32 წლისა ხელმძღვანელობდა ნატახტარის წყალსადენის მშენებლობას, რომელიც ექსპლოატაციაში 1933 წელს შევიდა. ამით კი საბოლოოდ მოიხსნა დედაქალაქის სუფთა წყლით მომარაგების პრობლემა. თბილისელების ონკანებიდან, ცივი, ანკარა წყალი გადმოჩქრიალდა.

ბატონი ლალი ჯავახიშვილის გადმოცემით, როცა მამამისმა, ივანე ჯავახიშვილმა თავად მოხსნა კერამიკული ფილტრი ონკანიდან, უთქვამს, – რა ბედნიერებაა, რომ ამ დღეს მოესწრო ჩემი ქალაქიო.

დადგა 1937 წელი. დედა არქიტექტორად მუშაობდა, მამა – „ინჟმშენის“ მმართველად. ერთი წლის ნინომ ერთ დღეს ორივე მშობელი დაკარგა: მამა – სამუდამოდ, დედა – 5 წლით. დედამ ყაზახეთის შორეულ ბანაკებში გაუსაძლისს გაუძლო და დაბრუნდა.

მამის ლანდი ყოველთვის თან სდევს. სურათებში ის ახალგაზრდა, ლამაზი ქართველი ვაჟკაცია. მისი თანამედროვეებისაგან მხოლოდ ქება სმენია მასზე, ამიტომ ცდილობდა, არ შეერცხვინა მისი შვილობა.

გავიდა ხანი. 18 წლის მეორეკურსელი სტუდენტი მონაწილეობას იღებდა ვანის არქეოლოგიურ ექსპედიციაში, რომლის ხელმძღვანელი პირველი ქართველი არქეოლოგი ქალი ნინო ხოშტარია იყო. სწორედ ამან განაპირობა მისი საბოლოო არჩევანი. ნინო ხოშტარია გახდა ნინოს ხელმძღვანელი და გზის გამკვლევი მეცნიერულ სარბიელზე.

წარჩინებით დაამთავრა თსუ-ის ისტორიის ფაკულტეტი, შემდეგ ასპირანტურა. არქეოლოგის პროფესიამ შემოატარა და გააცნო საქართველოს ყოველი კუთხე, მონაწილეობდა მრავალ ექსპედიციაში.



● საზოგადოება „თბილისელის“ ქალთა საკრებულოს წევრები: მარცხნიდან – ნინო კიღურაძე, ნანა ალექსანდრია, ლამარა მარგველაშვილი, ნანა მაჭავარიანი და ქეთევან ხუციშვილი.

დაფნარის არქეოლოგიური ექსპედიცია, რომელსაც 5 წელი ხელმძღვანელობდა, შედეგიანი აღმოჩნდა. შრომას ფუჭად არ ჩაუვლია. იქ მოპოვებულ მასალებზე დაიცვა დისერტაცია და გამოაქვეყნა მონოგრაფია „დაფნარის სამაროვანი“.

15 წლის განმავლობაში მუშაობდა აფხაზეთში, ბიჭვინთის ექსპედიციაში. 1990 წლის ცნობილი მოვლენების გამო სამუშაოები შეწყდა. მომდევნო წლები მისთვის დღემდე შეუხორცებელი ჭრილობის ტკივილიანი წლებია. უჭირდა სრულყოფილად ემუშავა ბიჭვინთის მასალაზე. ყოველი სტრიქონი მწარე მოგონებების ძლიერი ემოციური ზეწოლით იწერებოდა. როგორც წესი, ექსპედიციაში სამუშაო დღე დილის 7 საათზე იწყება და შუაღამემდე

# ✻ ✻ ✻ თუ შეჩერდი, უკან



სამი წელიწადია ნინო ცინაძის საქმიანობას ვაკვირდები. იგი თბილისის 89-ე საშუალო სკოლაში მუშაობს. მეოთხე კლასს ხელმძღვანელობდა, როცა მისმა მოსწავლეებმა სკოლის კლუბში „ციცქნა ის დღეობა“ წარმოადგინეს. მასწავლებელმა მთელი პიესა ბუნებაში „ტყის სიმფონიის“ ფონზე წარმართა, გამოავლინა არტისტიზმი, პროფესიისა და ბავშვების სიყვარული.

სკოლის დირექტორმა ზურაბ ბუაძემ სკოლაში ნინოს მოსვლის ეპიზოდი გაიხსენა: – ერთ დღეს, ჩემთან კაბინეტში ახალგაზრდა ქალი შემოვიდა და მითხრა: ძალიან მინდა თქვენთან ვიმუშაოო. მისმა სითამამემ გამაკვირვა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ დედაქალაქის 124-ე სკოლაში დროებით უმუშავნია. ნინოს უქმად ყოფნა არ შეეძლო. სახელმძღვანელოდ მეოთხე კლასი ჩავაბარე. კლასს მალე დაეტყო ენერგიული და ბავშვების მოყვარული პიროვნების ხელი.



● ნინო ცინაძე

...გაზაფხულზე კვლავ შევხვდი ნინოს. ამჯერად მეორე კლასში ახალი მეთოდით ინტეგრირებულ გაკვეთილს ატარებდა. თემა „ქართული“ და „ბუნება“ გახლდათ. მასწავლებელმა ერთ გაკვეთილზე ორი საგნის შერწყმა შეძლო, წუთშესვენებაც მოაწყო და მოსწავლეებმა „მომღერალ ფუტკარზე“ იმღერეს, „ქვიშის საათისას“ ბავშვებმა დასმულ კითხვებს უპასუხეს და მერე ორ დაფაზე მასწავლებლის მიერ წინასწარ გამზადებული ტექსტები წაიკითხეს: – რას გააკეთებთ, თუ ფუტკრის ბუდეს წააწყდებით? შეიძლება თუ არა ყვავილების გადათელვა? ამის შემდეგ აპლიკაციით „ჯადოსნური სამყაროს“ შექმნაც მოასწრეს და დაფაზე დასახლდნენ „ბუჩქები“, „ყვავილები“, „ტყე“, „მზე“, „მერცხლები“, „სკები“, „ფუტკრები“, „პეპლები“.

მოსწავლეები დააფიქრა მასწავლებლის შეგონებამ: „ბუნებაში ყველაფერი ერთმანეთთან არის დაკავშირებული, თუ რომელიმე რგოლს დავარღვევთ, უარყოფითად იმოქმედებს ეკოლოგიაზე. ამიტომ ბუნებას უნდა გავუფრთხილდეთ“.

მის სიტყვებს მაშინ მოსწავლეთა ვედრება მოჰყვა: „ღვთისმშობელო, საქართველო ხომ შენი წილხვედრია, გვევედრები, ნუ მოაკლებ მამულს დღეგრძელობას, მზეგრძელობას, სიუხვეს და ბარაქას“. შემდეგ თავად ბავშვებს მიეცათ შესაძლებლობა ეთქვათ, თუ ვისი მსჯელობა მოეწონათ, ვინ წაიკითხა ტექსტი კარგად და ვინ იყო ყველაზე საზრიანი. მათივე კარნახით დაფაზე შემდეგი გვარები დაიწერა: სალომე შოშიტაშვილი, ნიკა ყუშიტაშვილი, თორნიკე ჩანგიანი, თამრიკო ჭუმბურიძე და ვაჟა დოლიძე.

ახალგაზრდა პედაგოგი ინტეგრირებულ გაკვეთილებს ხშირად ატარებს. მას ესწრებიან ისინის რაიონის დაწყებითი კლასების მასწავლებლები და მეთოდკაბინეტის მუშაკები. ნინო ყოველთვის მაღალ შეფასებას იმსახურებს.

# სამსახურში ხედავს

გრძელდება. იქ ყოველთვის „შემიძლია“ – „არ შემიძლიას“ უპირისპირდება „ვალდებული ვარ“. სწორედ იქ ჩამოუყალიბდა მტკიცე, შეუპოვარი, უკომპრომისო ხასიათი.

უხმაუროდ, ერთგულად ემსახურებოდა თავის საქმეს, ოჯახს, მაგრამ როდესაც ქვეყანას უკიდურესი განსაცდელის ჟამი დაუდგა, ნინო საქველმოქმედო საზოგადოება „თბილისელში“ მივიდა, რომელსაც მისი დამაარსებელი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე და ქველმოქმედი დავით ციციშვილი ედგა სათავეში.საპატიო პრეზიდენტი კი უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია-II გახლდათ; ქველმოქმედება საქართველოს გადასარჩენად, – ამას ითვალისწინებდა საზოგადოების ყოველდღიური საქმიანობა.

1992 წელს ნინო საზოგადოება „თბილისელის“ საკრებულოს თავმჯდომარედ აირჩიეს, რომელშიც გაერთიანდნენ ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი მოღვაწეები – კულტურის, ხელოვნების, მეცნიერების, მედიცინის, სპორტის წარმომადგენლები, მწერლები. ისინი წლების განმავლობაში აქტიურად მონაწილეობდნენ და დღესაც მონაწილეობენ ყველა ღონისძიებაში.

საკრებულოს პირველი აქცია ქვეყნის ოქროს ფონდის შექმნა იყო. დღეს ხალხის მიერ შემოწირული განძი ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმშია გამოფენილი. მას უამრავი მნახველი ჰყავს. აუღელვებლად ვერ წაიკითხავ შთაბეჭდილებების ჩანაწერებს. გამოვიდა წიგნი „იმედით შემოწირული“, სადაც ყველა შემომწირველის გვარია მოხსენიებული. ეს წიგნი და შეგროვილი ფასეულობა საკრებულომ შთამომავლობას უძღვნა.

1992 წლის 31 დეკემბერი. საკრებულოს წევრებმა მოინახულეს თბილისის ყველა საავადმყოფო, სადაც აფხაზეთში დაჭრილი ბიჭები იწვნენ. მათ ყურადღება არც შემდგომ მოჰკლებიათ.

1993 წელი. ბატონი ედუარდ შევარდნაძე შეხვდა ქალთა საკრებულოს წევრებს და მადლობა გადაუხადა გაწეული საქმიანობისათვის.

1994 წელი. საკრებულო ქალთა საერთაშორისო ალიანსის სრულუფლებიანი წევრი გახდა. საქმიანი, მეგობრული ურთიერთობა დამყარდა ქ. იენის საზოგადოება „ამირანთან“.

1995 წელი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიწვევით და დაფინანსებით პეკინში გამართულ ქალთა IV მსოფლიო ფორუმში ქართველთა დელეგაციაც მონაწილეობდა. ქალთა საკრებულოს სახელით ქალბატონმა ნინომ საკითხი დააყენა კონფლიქტის ზონაში დისლოცირებული სამშვიდობო ძალების უფლებათა გაფართოების შესახებ პრივენტირებული დიპლომატიის გათვალისწინებით, რომელიც აისახა მიღებულ დოკუმენტში „ახალი მიღწევები საერთაშორისო დიპლომატიაში“. ფორუმის დასკვნით სხდომაზეც სიტყვით გამოსვლა სთხოვეს, რაც ქალთა საკრებულოს მუშაობის აღიარებაც იყო.

საქველმოქმედო აქციები გრძელდებოდა.

1995 წლის 24 მაისი. უკვე მესამედ იდევნებიან გალის რაიონიდან ადგილობრივი მკვიდრნი. 27 მაისს ქალთა საკრებულო სამეგრელოში ჩადის და ხვდება ლტოლვილებს სოფელ ლიაში, ფოცხოში, ეწერში. 8 ივლისს კვლავ ჩადიან ზუგდიდის სოფლებში დაბანაკებული ხალხის დასახმარებლად.

საკრებულოს წევრები ჯავახეთის მხარის ხშირი სტუმრები არიან. შარშან ახალქალაქში მათთან ერთად გაემგზავრა ექიმთა ბრიგადა ბატონ ფრიდონ თოდუას თავკაცობით. ნინოწმინდის სოფელ სპასოვკაში ახლადგახსნილ ქართულ სკოლას ეწვივნენ. იქაურები ჩასულებს ყოველთვის გახარებულები ეგებებიან: დედა ჩამოვიდაო, ამბობენ ნინოზე. ამაზე დიდი ბედნიერება ადამიანმა როგორ უნდა ინატროს!

მისი ბედნიერება ისიცაა, რომ მრავალრიცხოვანი ოჯახი მხარში უდგას. დედა – პატივცემული ქალბატონი ვარვარა; მეუღლე – გურამ ლორთქიფანიძე, ისიც არქეოლოგი, თსუ-ს კულტუროლოგიის კათედრის გამგე, პროფესორი; ქალიშვილი – ქეთევანი, თსუ-ის დოცენტი, აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე; შვილიშვილები – ორი ბოკვერა ბიჭუნა.

მათი მხარდაჭერა რომ არა, ალბათ ვერაფერს გააკეთებდა.

შრომა დაუფასდა, საკრებულომ შორს გაითქვა სახელი. საზოგადოებრივი საქმიანობისათვის ღირსების ორდენი საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ გადასცა.

... საკრებულოს საქმიანობის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. მის თავმჯდომარესთან ხშირად მოდიან, ურეკავენ უცნობი თუ ნაცნობი ადამიანები – ზოგი მადლობის სათქმელად, ზოგიც დახმარების იმედით.

ნინოს კი უარის თქმა არ შეუძლია, ცდილობს ყველას დაეხმაროს, მწარედ განიცდის როცა უძლურია...

საბედნიეროდ, საქართველოში მრავლად არიან მამულისათვის თავდადებული ქალბატონები.

**ლია კაკაბაძე**

# წახვალ

ინტეგრირებული გაკვეთილი რეფორმის შუქზე ახალი მეთოდით ჩატარებული ახალი ტიპის გაკვეთილია, ეს არის დაწყვილება – „ბუნებისა“ და „ქართულის“ გაკვეთილების შერწყმა. სწორედ ამ დროს წარმოჩინდება ნინოს შემოქმედებითი მიდგომა სასწავლო პროცესისადმი. მასწავლებლის დამსახურებაა მთელი კლასის აქტიურობა, ის, რომ ბავშვები გამართულად მეტყველებენ.

გარეგნულად მუდამ მოწესრიგებული, ელეგანტური, მშობლიური სითბოთი სავსე, და კიდევ, მუშაობის საკუთარი მეთოდისა და ახლის ძიებისათვის უყვართ მოსწავლეებს ნინო მასწავლებელი.

მან იცის, რომ სწავლა დინების საწინააღმდეგო ნიჩბის მოსმას ჰგავს, როგორც კი გაჩერდები, დინება უკან წაგიღებს. ამიტომაც ვალდებულია, მუდამ სწავლობდეს.

სამ წელიწადში ბევრს მიაღწია, სჯერა, რომ დაწყებით განათლებაში რეფორმა სამეცნიერო უზრუნველყოფის მყარ ნიადაგს დაეფუძნება. იგი გამოხატულებას ჰპოვებს სწავლებისა და აღზრდის ჰუმანურ ხასიათში, მის ერთიანობაში, სულიერი და ფიზიკური აღზრდის ჰარმონიულობაში, ზოგადსაკაცობრიო, ეროვნულ, კულტურულ ღირებულებათა და საგანმანათლებლო ტრადიციების აღიარებაში.

ყოველივე ეს კარგად აქვს გააზრებული ახალგაზრდა პედაგოგს და ამიტომაც მუდამ მუშაობის საკუთარი მეთოდების ძიებაშია.

**ნათელა ფაილოძე**

## რჩევა დიასახლისებს

### ირგვლივ რომ კეთილსურნელება ტრიალებდეს

ხელიდან ხახვის სუნი შეგვიძლია მოვიშოროთ გაჭრილი კარტოფილით ან ძმრიანი წყლის გადავლებით. საერთოდ, ყოველნაირი უსიამოვნო სუნის მოცილებას შევძლებთ, თუკი ხელებზე გადავივლებთ ნიშადურის რამდენიმე წვეთშერეულ წყალს.

***

დანას ხახვის სუნი მოსცილდება, თუკი ცხელი მარილით გავწმენდთ (იცოდეთ, ცხელი წყალი დანის მჭრელ პირს საგრძნობლად აბლაგვებს).

***

სამზარეულოდან თევზის სუნი გაქრება, თუ ცხელ ქურაზე დავდებთ შაქრის პატარა ნატეხს ან ცოტა შაქრის ფხვნილს მოვაფრქვევთ.

***

ბინიდან ყველანაირ სუნს აქრობს ღვიის ნაყოფის დაწვა (შეგვიძლია შევიძინოთ „მწვანე აფთიაქში“).

***

ავადმყოფის ოთახში სასიამოვნო სუნი რომ იყოს, ლამბაქზე დავასხათ ოდეკოლონი და ცეცხლი წავუკიდოთ...

***

თუ ყველს ცუდი სუნი აქვს, კანი თხლად ავათალოთ და ძმრიანი ტილოთი გავწმინდოთ. ხოლო თუ წათხშია, ამოვიღოთ, კარგად გავრეცხოთ ძმრიანი წყლით, გადავავლოთ სუფთა წყალი და ახალ წათხში ჩადებისას თან ჩავაყოლოთ პირშუშხა.

თარგმანი
ნარგიზა მგელაძე

კორნეი ჩუკოვსკი

მხატვარი
ცინარა ტერელაძე

# მოპარული მზე







სცინოდა ცაზე
ლიდ, ცხრათვალა მზე,
მოუვარა ღრუბელს წამით
ჩამიმწყდა როგორც ლამით.

ჭირიკანა კიჭკიჭები
შეწრიალდ მოუდგნენ ლობეგორს:
„ვაი, რა მზე მოამარეს,
ვაი, რა მზე მოეპამარეს.

ცას გახედეთ, როგორ ბნელი
მზის ნხიკუბის ცაუმარ,
უსათუოდ გადასანსლა
ნაზიზღარმა ნიანგმა! -

არ გახედეთ უზომ გარეთ,
თავი სახლებს შეაფარეთ!"

ბუღამის ცხვარ ატირდა
ჯანჯღრია მელურა:
„მზის სხივები მკუ და
მზის სხივები მეზურა
ახლა, ამ სიბნელეში

სად ვისიერ საჭმელი,
მზე თუ არ ამოვიდა
არც კი ვიცი, რა მელის!"

ჟურკვლებს და ნაცარს
ცრემლი მოსდის ღვარღვარად,
ვერ ამოვსე შენიშნავენ
მიმავალი გზა-შარა.

მხოლოდ მგლებს სიხარულით
ლაპლაკებს ბეწში,
კბილინაბლებს მგეშნა აქვთ
მჯილ-მჯილ ჯურღმულებში.

აღრე დილით ორი ვირი
არახუნებს ჭიშკარს:
„კა-კა-კა-კა-კა! გამოდით,
გამოვუხედეთ ვინ ხარო.

დაურიაზმით მხეცებს და
დაუმარცხოთ მტერი.

ამ საძაგელ ნიანგს ზურგზე
აკადრით მტკვარი,
დაუბრუნეთ ცაზე
ჩვენ მზე მშვენიერი".

„ნიანგს შეუბრძოლოთ?
არა, ბიძიავ,
მგელს დამარცხებას
სად შევეძლიათ.
სულ უნდოდ, მამიკ
ვერ წაუართმევთ მზესო.
ჩვენს ხორცზე კი ნიღდად
კბილებს ალესავს".

მაშინ ყველა მხეცი
ეზიან გადაება უნდოდა.
ლოდით გაბოჩქნეს, ცოდილ
დათვის მისამართლად.

მოდის, როგორც იქნა,
დათვის დათვი,
ღრმად დაფრენებში წანსულნ
პარიში ცული თვით.

შეეხვეწნენ უნდოდ:
„ძიავ ბაბუავ,
ქუდები იქეჯი,
რა ღრმის ბოლიალი
ნიანგის მოსწვა
შენ შეგიძლია".

მაგრამ ყურმაჩლუნგის
სულ არ უნდა ომი,
დანაკლიებს მშვიდობის და
სიყვარულის მღერას.

მელიამელიებს ჯიხს
ვეღლის — წვალ-ში, ხუზე:
„სად წამუყვდეთ, სადღა,
რად დამპლაყვით მარტო?"

ნანხელებულ ღაჭამესში
დაბრწყინებ ლელა დათვებ:
„ვაი, მელიავ, ნუთუ წუწკალ
ბლეყის კურძა გახდით
ან ჭაობში ნაზნავი
ვერ დაბრუნდით სახლში?

ჯიჯს, ჯიჯს ბელებს
საშინიათ აბზურვებს ხელებს.

სალოდავა დელა
ჯვლის აცანს ლილადს,
სახლებეში ბიჭდეცი
დაიკვეტებს ჭიდა.

სადამდეკ ჟურჟურებ
დათვს შეანახვა კურდღელი.

„დაუცელი ხახა,
კურდღელო ხომ არ ხარ?
ლოთალეკ და ტარა,
თავფის იცო ვარი.

გარწყი მეღანგეში,
ვეა ნიანგს ვეღეში,
მიეკალი და ტყეში
გადაიკევ ლეკშე!

მაშინ, მხოლოდ მაშინ
გაბრწყინდება ცაში,
დელიფელი მზეთ,
კალაკ ლანდაშა ლელე.

შენა პაწიანეკ
მიუპყრობიან მალე,
სულ დაეკლუქნის
თათებსა და თვალებს".

და დათვი ქრდა დათვი,
ზის კუზის დაბუხა თათი,
ლილი მეტაჰენსკბ
წარუნბეულია დათვი.

გზაში ანე ლარიადებს,
ჯვლის გადაფურთებლებს.

შენს, დედ მეტანაზუში
საშიში და მაგნე
მხეცი ნიანგს თვალებს.

ქვეყანაზე ყველას
რომ აცრეყმა ხათხს,
პარში მოამარელი
კვანჭოლელა მზე აქვს.

ამ დედ მეტანაზნათ
მიამარა დათვი
და ამ მნუნაც ნიანგს
თავში ჩაჰკრა თათი.

„მზე მიურიბე, ქურდო, ხარბო,
ჩვენს თვალებს აღარ გვსიბის.

ვეღარ ვხედავთ სინათლეს,
შენ გვინარ და ლეკვს მზეს.

გამომშტვარინხარ, ვინძე იცოდი
აღარ ნავედი ყელში,
სხვა საჭმელი ვეღარ ნახე?
გაჰკლა შენი მუცელი".

დაღრინდა აქ ნიანგი,
„რეეკში მზეა? აი, ბურნუ!
ხა, ხა, ხა, ხა, რა მოგიხარი,
გინდა მოგიარე მოვიხარი?"

აქ კი დათვს ... ...
მიამხეკლის ... ...
ნიანგს ტორი ... ...
სამინდლად ილრიალა.

ნიანგი ... ...
დაუ... ...

მზე, მზეფედი გიხვა,
დაბლა გადმოვარდა.

იუნწვის ცანკვა ზანაში
და გადრინდა ცაში.

„გამარჯობა, მზეო,
და ნათელი დღეო"!

სულ გაგლლიანს უნდოდ
უშლვრიან მზეს.
ტყეს დასცქერის თავზე
მობრჭყინვალე ზეცა.

პუჭლები და ნიტურები
იძახიან „რა კარგია!"
ბაჭიებს მწვანე მოლზე
გარამილა გადადიან.

და უცვრიალ ტყის სილნებიან
სად იცი და სად არა
სამი ბელი გამოვარდა
ბაბუას ესახარად.

„ბაბუ, ბაბუ, ჩვენც აქ ვართ,
მხიარულად მოვლორბეთ ყარით,
ამ ნახსხა მზეში უნდოდ
ვითამაშოთ, ვინავარდოთ".

გაიხარეს ცხოველებმა
ბაჭიებმა, გუგულებმა,
აღარავის აღარ უნდა
უზრუნ დღეს მოგონება.

# „დღემდე უხილავი ძალა“



*უნიჭიერესი ქართველი მხატვრის რენო თურქიას და მისი მეუღლის ესმა გომელაურის ურთიერთობა ცალკე წერილის თემაა. ამ ლეგენდარულ სიყვარულს ჩვენ კვლავ დავუბრუნდებით.*

*დღეს გთავაზობთ მცირე ნაწყვეტს ქ-ნი ესმა გომელაურის მოგონებებიდან.*

რა საოცარი, თვალუწვდენელი და გონებამიუწვდომელია ქვეყნიერება, რა მდიდარია თავისი მრავალფეროვნებით! რანაირი კავშირები აღარ არსებობს სამყაროში?! სივრცე, დრო, ადამიანი, სხვა ნებისმიერი არსება – შვილი ბუნებისა, რა რთული, მრავალმხრივობით არის აღბეჭდილი ერთმანეთთან მიმართებაში!

რენო რამდენიმე წლის გარდაცვლილი იყო (80-იანი წლები), როცა წავიკითხე ბატონი ოთარ ჭელიძის – თანამედროვეობის თვალსაჩინო პოეტის, ჩემი რენოს მეგობრის – ალბათ ახალდაწერილი ლექსი „დღემდე უხილავი ძალა“.



რენო თურქია უპატრონო ძაღლთან.

როგორ გავკადნიერდები და გავბედავ ლექსის ღირსებაზე ლაპარაკს, მაგრამ მან ისეთი ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში რაღაც გაუცნობიერებელი განცდები მოსვენებას არ მაძლევდა.

მაინც, რა დიდებული, თავისთავადი მელოდიურობით გამოირჩევა ოთარ ჭელიძის პოეზია (ისევე, როგორც მისი ხმის ტემბრი); ეს ლექსი კი ასე იწყება:

„ერთი უპატრონო ძაღლის
რაღაც გასაოცრად მეტყველ,
დღემდე უხილავი ძალის
თვალებს შევეფეთე ერთხელ“...

შეიძლება ვინმემ გაიკვირვოს, რა კავშირი უნდა ჰქონდეს ერთი უპატრონო ძაღლის მეტყველ თვალებს ჩემს გულთან? მე რენოს გარდაცვალების შემდეგ გავაანალიზე, რომ ჩემს ცხოვრებაში, ჩვენს ურთიერთდამოკიდებულებაში და ბედ-იღბალში ძალიან ბევრია ფატალური და, მე ვიტყოდი, მისტიკურიც. ამის შესახებ ვრცლად ჩემს მოგონებებში ვწერ, ახლა კი ერთ სასაცილო მომენტზე შევაჩერებ თქვენს ყურადღებას. რენოს განსაკუთრებულად უყვარდა ძაღლები, საერთოდ, ცხოველები (სიყვარულითაც და ხუმრობითაც ერთმანეთს ხშირად მივამსგავსებდით ხოლმე რომელიმე მათგანს, ვთქვათ, ლომს, ციყვს და სხვა) მას ორივენი ძალიან სასიამოვნო კომპლიმენტად ვთვლიდით). სიყვარულით იტყოდა ხოლმე რენო მათზე: როგორ აკეთილშობილებენ გარემოსო. ძაღლებისადმი ამგვარი თბილი დამოკიდებულების გამო რენოს ძალიან მოსწონდა ერთი ჩემი ჯემპრი, რომელსაც პატარა ბაფთა ჰქონდა ყელთან. სულ ძაღლს გავხარ, ცუგრიასავით გამოიყურები მაგ ბაფთითო, და უყვარდა, როცა ამ ჯემპრს ვიცვამდი. ფოტოსურათიც მაქვს გადაღებული. ეს სურათიც გამორჩეულად მოსწონდა და ამხიარულებდა მას. ასეთი აზრიც გამოუთქვამს – როცა ქუჩაში დაგინახავ ხოლმე, ისეთი სუსტი ხარ, გული მიჩუყდებაო. დღეს ვფიქრობ, რომ მაშინ ის უკვე მომავალში მხედავდა.

...და ახლა სულ ვგრძნობ, რომ უპატრონო ძაღლის გამომეტყველებით დავდივარ ქუჩაში და ყველგანაც, ასეთი გამომეტყველება მაქვს სახლშიც (სადაც, მიუხედავად იმისა, რომ მიმაჩნია – მე და რენო ისევ ერთად ვართ. ჩვენ ყოველთვის და ყველგან ერთად ვართ), ახლობლებშიც, ნაცნობ-მეგობრებშიც (როგორი ყურადღებითა და სიყვარულითაც უნდა ვიყო მოცული), და რა თქმა უნდა, უცხო გარემოში მით უმეტეს.

მივყვეთ ისევ ბატონი ოთარის სტრიქონებს:

„შავი გუგებიდან მბრწყინავ
ცთომილ ვარსკვლავებად კრთოდა
და ცას შეერწყმოდა წყვილად
ცოდვა შეულლებულ დროთა.
ენთო შემღვრეული სივრცე,
რომლის ულიმლამო შუქშიც
მთვარის სიახლოვე ვიგრძენ
როგორც შავ სათვალის შუშის“.

დიახ, დრომ გადაგვიქროლა... და მივხეტიალობ თუ მივლასლასებ ქუჩებში სევდიანი ძაღლივით (ასე რომ მომრავლდნენ ჩვენში ამ ბოლო წლებში) და ფიქრებით გადავდივარ ხოლმე წარსულში, როცა ხალისიანები და ბედნიერები ერთად მივყვებოდით რენო და მე რუსთაველის, თუ ყოფილი პლეხანოვის გამზირს, კოლმეურნეობის მოედანს, ძველი თბილისის ქუჩაბანდებს, თუ ქალაქის გარეუბანს... და ვოცნებობ იმ მომავალზე, როცა ღვთის განგებით ჩვენი სულები ზეცაში შეერთდებიან...

„ხელი გადავუსვი ყვითელ
ღამის დედოფალის მყეფარს,
რამდენ საიდუმლოს იტევს
მისი გაქუცული კეფაც“.

ჭეშმარიტად, ჩემი მეხსიერებაც ძალიან ბევრ საიდუმლოს, საინტერესო და მღელვარე მოგონებებს იტევს, იმ მოგონებებს, რომლებიც დაკავშირებულია უბადლო, უნაკლო, შეუდარებელ რენო თურქიასთან, ჩემს მარადიულ საყვარელ მეგობართან,ჩემს უახლოეს, უძვირფასეს და უკეთილშობილეს არსებასთან; და, არა მარტო ჩემთვის საყვარელთან და ძვირფასთან, რადგანაც ის მომხიბლავი, ჭეშმარიტად ძვირფასი და ახლობელი იყო ყველა მის ირგვლივ მყოფისთვის და, რა პარადოქსულადაც უნდა მოგვეჩვენოს, ძვირფასი და ახლობელი ხდება ყველასათვის ვინც კი მის შემოქმედებას ეზიარება...

ბატონი ოთარ ჭელიძეც ერთ-ერთი იმათგანია. ისინი ახლო მეგობრები იყვნენ. ამიტომ იყო, რომ ყოველი შეხვედრის დროს, როცა გამომცემლობა „ნაკადულში“ მივდიოდი, ბატონი ოთარი, გამომცემლობის მაშინდელი დირექტორი უჩვეულო სითბოს მაგრძნობინებდა ხოლმე; ვიხსენებდით რენოს, დიდ სინანულს გამოთქვამდა, რომ მოუცლელობის გამო რენოს ვერ შეუსრულა სურვილი – პოეტის ფერწერული პორტრეტი დაეხატა. დაბეჯითებით მთხოვდა, ხშირად მივსულიყავი, მეუბნებოდა – დასავით მიყვარხარო. სახლიდან წამოღებულ საუზმესაც მთავაზობდა; მე ვუარობდი. სათუთად გამიხვევდა და ძალით ჩამიდებდა ჩანთაში, თან დასძენდა – შენ ხომ იცი, როგორი ახლობლები ვართო, და ისევ მთხოვდა ხშირად მივსულიყავი. ერთხელ ერთ თანამშრომელს სოფლიდან ყურძენი ჩამოეტანა, მეც მიმიწვიეს, გემრიელად შევექცეოდით. ბატონ ოთარს თეფშით შეუტანეს კაბინეტში. გამოვიდა, თავისი თეფშიდან მიუხედავად ჩემი დიდი წინააღმდეგობისა, გადმომიღო ყველაზე დიდი და საუკეთესო მტევანი...

მკითხველს ნუ გაუკვირდება, რომ ასეთ დეტალებზე ვამახვილებ ყურადღებას. 80-იანი წლების ბოლოდან ისე გაუარესდა ჩვენი ცხოვრება, რომ ინტელიგენცია მოსახლეობის ყველაზე შეჭირვებულ ფენად იქცა, (ვიქონიოთ იმედი, რომ ღირსეულ ცხოვრებას მოვესწრებით). ბატონმა ოთარმა კი კარგად იცოდა ჩემი მატერიალური მდგომარეობის სიმძიმე რენოს გარდაცვალების შემდეგ და განსაკუთრებით კი აღნიშნულ პერიოდში. აკი მეუბნებოდა ხოლმე – ქალბატონო ესმა, თქვენზე ლეგენდები დადისო (არც კი მინდა ვილაპარაკო იმაზე, რომ ბატონი ოთარი მაშინ უკვე მძიმე ავადმყოფი იყო, თუმცა მისი ვაჟკაცური ბუნებით ამას არ იმჩნევდა და არც გვაგრძნობინებდა).

მართლაც, „ნაკადულში“ ხშირად მივდიოდი იმიტომ, რომ „სალიტერატურო გაზეთი“, რომელსაც მაშინ გამოსცემდნენ, და რომელსაც ვერ ვყიდულობდი (ისევე როგორც სხვა სასურველ პრესას), ყოველთვის ძალიან საინტერესო იყო და მჩუქნიდნენ ხოლმე. გარდა ამისა, მთელი კოლექტივი ერთი ოჯახივით იყო, არაჩვეულებრივი კეთილგანწყობით ერთმანეთის მიმართ და ჩემდამიც. მე დღემდე ვმეგობრობ ქალბატონ ლუიზა სამხარაძესთან, ნატო ვარადაშვილთან, ბატონ გურამ ღლონტთან. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო, რომ ეს დამოკიდებულება და, საერთოდ, იმდროინდელი ტრადიციები, დღესაც ცოცხლობს „ნაკადულში“ მისი დღევანდელი ხელმძღვანელის, შესანიშნავი პოეტის ბატონ ბესიკ ხარანაულის მზრუნველობით.

იმ პერიოდში ნაკადული ამზადებდა XX საუკუნემდე დაბადებული გამოჩენილი ქართველი მწერლების პლაკატს. ბატონი ოთარის ინიციატივით მასზე რენოს „იაკობ ცურტაველის პორტრეტი“ (ფრაგმენტი) დაიბეჭდა. ბატონ ოთარს ძალიან უნდოდა, რომ რუსთაველის პორტრეტიც რენოს შესრულებული გამოეყენებინათ, მაგრამ სამხატვრო საბჭომ არჩია ის პორტრეტი, რომელსაც საზოგადოება დღემდე იცნობდა. ბატონ ოთარს ამაზე ძალიან დასწყდა გული, მაგრამ, რა თქმა უნდა, საბჭოს გადაწყვეტილებას არ შეეწინააღმდეგა. პლაკატი შესანიშნავი გამოვიდა (მხატვრები: გურამ ღლონტი და ჯიბო ყაველაშვილი).

როცა მივდივარ „ნაკადულში“, მე ისევ ვგრძნობ (და არა მარტო მე, არამედ მისი თანამშრომლებიც), რომ ბატონი ოთარ ჭელიძეც იქ არის. თითქოს იმ ღიმილსაც ვხედავ, რითაც ის მეგებებოდა, და სხვანაირად არც შეიძლება იყოს, რადგანაც, რაზეც უნდა ვსაუბრობდეთ, ყველაფერი ბატონ ოთარს უკავშირდება. თვალები დაგვიწყლიანდება ხოლმე ყველას და ამ მოგონებებში ყოველთვის ზეიმობს ის სიკეთე, ის ხიბლი, რითაც აღსავსე იყო ბატონი ოთარის პიროვნება.

„სალიტერატურო გაზეთის“ 1997 წლის აგვისტოს ნომერში რენოს ხსოვნისადმი მიძღვნილი ვრცელი მასალა დაიბეჭდა. ბატონი ოთარის ლექსიც იყო გამოქვეყნებული: „რენო თურქიას შედევრები“. კადნიერებაში ნუ ჩამომართმევთ და მინდა მოგახსენოთ, რომ ამ ლექსში ბატონი ოთარი „ქალბატონ დიდ ესმას“ მიწოდებს. მე შემრცხვა, ძალიან უხერხულად ვიგრძენი თავი და გამოქვეყნებამდე შევეხვეწე, ეს სიტყვები როგორმე შეეცვალა. არაფრით დამეთანხმა – ასეთი მეუღლე კაცისათვის დიდია, აბა რა არისო. მერე მე ვუთხარი – ბატონო ოთარ, თქვენ არც კი იცით და მინდა გაუწყოთ, რომ თქვენი ლექსი „დღემდე უხილავი ძალა“ გაუცნობიერებლად ჩემდამი გაქვთ მიძღვნილი, მე სწორედ იმ უპატრონო ძაღლივით ვგრძნობ თავს, მისი სევდიანი და მეტყველი თვალებით, ჩემი კეფაც სწორედ ძალიან მდიდარია საინტერესო, ძვირფასი მოგონებებით-მეთქი. თვალები მოუწყლიანდა და ისეთი კატეგორიული ტონით მითხრა – გთხოვ ასე ნუ ამბობო, – რომ მე ხუმრობაში გადავიტანე ყველაფერი და ვუთხარი – ასეა და რა ვქნა, ფაქტი ფაქტია მეთქი, და დავამატე, ამის შემდეგ სადაც დაბეჭდავთ, გთხოვთ მიუთითოთ, რომ ლექსი მე მეძღვნება-მეთქი. საერთოდ კი, ეს საუბარი იმიტომ წამოვიწყე, რომ როცა გავაცნობიერე, რატომ იმოქმედა ჩემზე აღნიშნულმა ლექსმა, ველარ ვიპოვე ის გაზეთი, სადაც იყო დაბეჭდილი და მოწიწებით ვთხოვე, მოეძებნა ლექსი და ეჩუქებინა ჩემთვის.

ერთხელ, როცა შინ ვესტუმრე ბატონ ოთარს და მის მეუღლეს ქალბატონ დალის, ოთარმა მთხოვა, რომ მისთვის და მრავალი თვალსაჩინო შემოქმედისათვის ძვირფასი და საპატივცემულო ქალბატონ ქეთევან ანანიაშვილისათვის გადამეცა მისი ლექსების კრებული. მე, რა თქმა უნდა, სიამოვნებით გავუწიე ასეთი საპატიო „სამსახური“. ერთი კრებულიც მე მაჩუქა წარწერით: „ჩემი საყვარელი ძმის – რენო თურქიას მეუღლეს – ქალბატონ ესმას ულრმესი პატივისცემით, ოთარ ჭელიძე, 21 აგვისტო, 1998 წ.

სწორედ ამ კრებულში (მკითხველი მიმიხვდება, რამდენად ძვირფასია იგი ჩემთვის), საბედნიეროდ, არის პოეტის მიერ „ჩემდამი გაუცნობიერებლად მიძღვნილი“ ლექსი: „დღემდე უხილავი ძალა“.

...და ახლა ვფურცლავ და ვფურცლავ ამ კრებულს... ...ისევ ვიძირები სანუკვარ მოგონებებში... ...მე დღესაც ვარსებობ... ...მე გადავინაცვლებ მომავალშიც... ...რაღაც უხილავი ძალა უკვე მაკავშირებს მასთან...

... „ერთი უპატრონო ძაღლის
რაღაც გასაოცარ მეტყველ,
დღემდე უხილავი ძალის
თვალებს შევეფეთე ერთხელ“...

**ესმა გომელაური-თურქია**

# ნინო მარიამიშვილი



## ქალი

ქალი – ქარიშხალზე ძლიერია,
ქალი – დევკაცზე დიდია,
ქალი – ვარდ-ყვავილზე ლამაზია,
ქალი ცისქვეშეთის ხიდია.
ქალი – ლამაზი სიზმარია,
ქალი – უდიდესი რიდია,
ქალი– სურნელია, სინაზეა,
ქალი – ცხოვრების გიდია.
ქალი – ღრუბელია ნაავდრალი,
ქალი – ერთი ფთილა ნისლია,
როცა უჩვეულოდ იღიმება,
გაიგეთ, აბა, ვისია...

## მე აფხაზეთის ტკივილი მტკივა...

ჟამი საუფლოს ტკივილებს ამხელს,
გული უდარდელ აკვანს მისტირის,
ჩაკირულია ჩემს სულში სევდა
ისევე, როგორც ლოდი ქვიტკირის.

ო,საზრდოდ რუხი შემომრჩა სევდა,
ფარ-ხმალ დაყრილი ჯარები გვიცავს,
დანაღმულია ჩემი ქვეყანა,
ნატყვიარია ქართული მიწა.

მე აფხაზეთის ტკივილი მტკივა,
მდორე ბზიფის და შლეგი ენგურის,
ძიძი-შვილებმა დაგვტაცეს მიწა
და გაუგებრად სულ სხვებს ვემდურით.

ჩემს ლამაზ მხარეს რა გადაარჩენს,
როგორ მაწუხებს ფიქრები მწველი,
ჟამი ნატყვიარ მარჯვენას არჩენს,
დაჩეხილ გულებს ვერაფრით შველის.

## კრძალვით მოგენდობი

გულში მონატრების კივილია,
ბნელში ჩუმად ბჟუტავს სანთლის შუქი,
სტრიქონს, მაინც დავწერ ტკივილიანს,
ამას ლექსის წერა ჰქვია თუკი.
ღამეს ნაცრისფერი შეჰპარვია,
ღრუბლის ფთილას ცეცხლი დასდებია,
გული ველარ უძლებს გაუსაძლისს
კიდევ გასაძლები რამდენია.
კრძალვით მოგენდობი დედაწმინდას,
ოღონდ დამარიგე ვინ ვიწამო,
სულო, დაუჩოქე ნიკორწმინდას
ეგებ ნაღვლისაგან დაიცალო.
მხოლოდ ნატვრის ხეს ვთხოვ შეშეწიოს,
მუხლზე დავუდგები მდუმარ ხატებს,
ყველას გავისტუმრებ ერთიანად
თუკი ვინმეს ვალი ცოდვად მაწევს.
გულში მონატრების კივილია,
მწუხრში მინავლულა გრძნობა ერთი,
სტრიქონს, მაინც დავწერ ტკივილიანს,
ამას მიმიხვდება მამაღმერთი!

## გიგი პაპინაშვილის ხსოვნას

ჩემს დედაქალაქს კიდევ ერთი
დააკლდა კაცი,
წმინდა გიორგი გამოაკლდა მიწიერ ყოფას,
ჩემს ქართულ მიწას მადლიანი ებარა რაცკი
ცადაწეული მისი სული შეერწყა მყოფადს.

აღარც სიზმარში, აღარც ცხადში,
ნეტავ სად გაჰქრი,
ვიგრძენი ზეცამ მიგიბარა აღზევებული,
უწმინდესს სანთელს დაემსგავსე,
ჩაიწვი, ჩაქრი,
სული ლამაზი
სხეულიდან ამზევებული.

საბედნიეროდ საამაყო იყავი მხოლოდ,
შენი ძმა-ქალი გეფიცები მინდა იცოდე,
შენ გოგლას „ოლე" წამიკითხე
უცრემლოდ ბოლოს
და უგვირგვინოდ დაასრულე
შენი სიცოცხლე.
საუბედუროდ ჩემს სამშობლოს
მოუკლეს კაცი,
ყველას უყოფდა, ურიგებდა ებადა რაც კი,
სალი სიცოცხლე გამოაკლდა მიწიერ ყოფას,
ზეცად აღზევდა მისი სული
შეერწყა მყოფადს.
ჩემს დედაქალაქს
კიდევ ერთი დააკლდა კაცი...

# სადაც დავითი იყო, იქ

*ახლა ისეთი დროა, თითქოს სიკეთეს ყავლი გაუვიდა; ყოველ შემთხვევაში ასე გვეჩვენება ამ განაცრისფერებულ ყოფაში... ცხოვრების კანონზომიერება კი უხსოვარი დროიდან ასეთია: ურთულესი და ამავდროულად უმარტივესი, ანტონიმებით დახუნძლული: : მწარეს ტკბილი ცვლის, დღე ღამდება, მაგრამ ხომ ისევ თენდება...*

*კვლავ ბანალური ჭეშმარიტება: სიკეთეს დიდი ძალა აქვს! თვით ბოროტების აღზევების დროშიც კი, ხო ისეთი უსუსური ჩანს და ისეთი უიარაღო, მაგრამ მაინც განსაცვიფრებლად ღონიერია და უცხო ზეგავლენის მქონე. და ამის დასტურად, მე ერთ კარგ ქართველზე მინდა გესაუბროთ — დავით კვიტაიშვილზე, დიდ დავითს რომ უწოდებდნენ მისით მადლიერნი.*



დავით კვიტაიშვილი

დავით კვიტაიშვილი – ცნობილი ბავშვთა ექიმი, რომელიც აგერ 12 წელია რაც გარდაიცვალა და დღესაც არ წყდება ზარი – ექიმთან სურთ მოსვლა და თქვენ წარმოიდგინეთ, ხანდახან ბავშვებატატებულნიც მიადგებიან ხოლმე ბინას რაიონებიდან ჩამოსულები.

ჭაბუა ამირეჯიბი ერთი მეგობრის, კარგი ექიმისა და კაცური კაცის ამირან მორჩილაძის მოგონებისას იხსენებს: „ულრმესი პატივისცემით იყო ამირანი გამსჭვალული ყველა იმ პიროვნების მიმართ, ვინც თავის საქმეში უმაღლეს მწვერვალს მიაღწია. ზოგი მისი შეფასება მახსოვს: განსვენებულ პედეიატრ ბატონ დავით კვიტაიშვილზე – ეგ ისეთი ექიმია, გასასინჯავად მისულს მტირალი ბავშვი უჩუმდებაო. ბატონი დავითი ჩემ ბავშვებსაც მკურნალობდა. დავაკვირდი, მართლაც ასე იყო, დაინახავდნენ, ჩუმდებოდნენ"

დავით კვიტაიშვილის ვაჟი ცნობილი პოეტი და პუბლიცისტი ემზარ კვიტაიშვილი ასე იხსენებს მამას:

„ მამა ლანჩხუთის რაიონის სოფელ აგარაკიდანაა, უწინ ნათლისმცემელს რომ ეძახდნენ და მერე კომუნისტებმა გადაარქვეს (ისე, ჩვენი წინაპრები რაჭიდან გადმოსულან გურიაში). ულამაზესი სოფელია ეს აგარაკი, ჰოდა, მამამ მე და ჩემი ძმა (მაშინ ოთხი წლისა ვიყავი) სწორედ იქ გაგვიშვა მამიდასთან – ბავშვი სოფელში უნდა იზრდებოდეს, მისი გემო იცოდეს და კარგი კაცი დადგებაო. ცხადად მახსოვს მამიდას შეცხადება, მამას დაპატიმრების ამბავი რომ შეიტყო. მამა 1942 წელს დააპატიმრეს, ფაქტიურად, არაფრის გამო. თორმეტ წლამდე მაინც სოფელში დავრჩი, მერე დედამ ჩამოგვიყვანა. მახსოვს, ორთაჭალის კოლონიაში მამას როგორ ვესაუბრებოდი შორიდან ჟესტებით. მანამდე კი, ციხეში ორი წელი იჯდა. მერე იმიერპოლარეთში – ქალაქ ვორკუტაში გადაასახლეს"...

იმ ავბედით წლებში უმეტესწილად ჭკვიანსა და კეთილშობილ ხალხს აპატიმრებდნენ და ეს ქალაქი ვორკუტაც სავსე იყო გადასახლებული კეთილშობილი ქართველებით – მათ შორის ყოფილა ლევან გოთუაც.

ერთ-ერთი იმ გადასახლებულთაგანი, ქუთაისელი პედაგოგი შოთა შავგულიძე ასე იგონებს ბატონ დავითს: „სადაც დავითი იყო, იქ იყო „პატარა საქართველო", იქ იყო სიკეთე და სიამტკბილობა".

ვორკუტაში თურმე დავით კვიტაიშვილს დავით დიდს ეძახდნენ (ყოფილა სხვა დავითიც – დავით მცირე (გაჩავა). ათი წელი დაჰყო იქ (3 წელი ზონაში და 7 წელი თავისუფალ გადასახლებაში) და პროფესიით პედიატრი, პატიმრობისას თერაპევტადაც მუშაობდა, თუმცა თავისუფლად შეიძლება ითქვას, ყველაფრის ექიმი იყო.

ყოფილა იქ, ვორკუტის საკონცენტრაციო ბანაკში გერმანელი

## ჩემი გული
გ-ს...

შენს სარკმელს მიღმა გაზაფხულია,
შენ არწივივით შფოთავ ბუდეში,
ჩემი იმედი შენი გულისა,
შენი მერმისის თეთრი ნუგეში.

ვერვის გავანდობ ჩემში რაც არის,
მჯერა, შორს დაგვრჩა თეთრი ზამთარი,
შენ გამიღვიძე ცივი ღადარი,
თბილი ალერსით ნაამაგარი.

შენს მოსვლას ცელქი ბავშვივით ველი,
გული ვერ უცდის მოძღვარს ლოცვამდე,
შენში ღმერთკაცის არის ყოველი,
ამაღლებული სულით – ხორცამდე.

სიცოცხლით სავსე მუხის ღერო ხარ,
შენს დიდებასთან რა სათქმელი ვარ,
ერთი ქართული წრფელი „ რერო“ ხარ,
მე სულ უბრალო მისამღერი ვარ.

შენი ოცნების ნარის ჩიტი ვარ,
ნებიერა ვარ – ძეძვში გაბმული,
ველად გაჭრილი ცელქი ნუკრი ვარ,
შენი ღიმილის ხესთან დაბმული.

მე სხვა ფერებით არ მიხატია,
ვეღარ ვფხიზლდები, ძილში ვარ ჯერაც,
შენი თვალები ჩემი ხატია
გულს ანანურის დალოცვის ჯერა.

## ჩემს მეუღლეს

ეს ის კაცია, ვისაც
ჩემი სიწმინდე მართებს,
ვინც მიმაჩნია განტევების
უდიდეს ვაცად.
ეს ის ბიჭია, ვისაც
ჩემი თვალები დასდევს,
ვინც გამოვძერწე და
ვაქციე უზადო კაცად.
ეს ის გმირია, ვინაც დედად მე რომ გამხადა,
ვინც ჩემს შვილებზე დღე და ღამე
ფიქრობს და დარდობს.
ის მოძღვარია, ვინც რომ
წმინდა ქალად დამხატა,
და ეს ნახატი მიაჩნია სალოცად მარტო.
ეს ის კაცია, ვისაც ჩემი ოცნება მართებს,
ცამეტი წელი ვისაც ჩემი გული აქვს ვალად,
ის დევკაცია, ვინაც გულში სიამეს მმატებს,
ვინც დამატყვევა და
მაქცია ბრწყინვალე ქალად.

* * *

დღეს მოლოდინში გვიან დაბინდდა,
იმედს მფარველობს ურწმუნო კალთა,
ისე დაღამდა და ისე ჩაქრა,
როგორც ცხოვრება უმწეო ქალთა.

ჩამოდგა ჟამი, უკურნებელი,
მაწუხებს წამიც ერთობის ბოლო,
დღეს დაისიდან ქალის პარტიის
უკანასკნელად ვასრულებ სოლოს.

არ მეჩვენება, ჩუმად დაბინდდა,
ეს დღეც ჩაბარდა ცხოვრებას ბედად,
და კვლავ ბოშების გაწვრთნილ ჩიტივით
შევრჩები შვილებს-უთეთრეს გედად.

## ჩემო გიორგი

შენ ჩემო შვილო, ჩემი ქვეყნის ჯილაგო,
ჯიშო.
ბიჭო გიორგი, მოზვერივით დამფრთხალო
გიჟო.
შენი სამშობლოს მომავალის ნამდვილო
ბურჯო,
მტრებისთვის მუდამ გიაურო, სისხლითაც
გურჯო.
შენ ხმავ ერისა, ხმავ ბერისა, ხმავ
ივერისა,
პატარა კახო, იბერიის ფშვინავ
ხმიერო.
სისხლის ყივილო, [illegible]
სულზეციერო.
შვილო გიორგი, [illegible]
მაგარო –
შენ, ხვალინდელი საქართველოს წმინდა
მადანო,
ციხე-ქონგური შენ ქვეყანას უნდა
უშენო
შენ მზეს ვფიცავარ, არასოდეს შეგარჩენ
ღალატს,
შენ უნდა ქმნიდე, შენი ქვეყნის ნამდვილ
მომავალს,
უნდა უხდიდე ქართულ მიწას სისხლიან
ღალას.
გიორგი გქვია, შენ სახელი ქართველ
მეფეთა.
არა ჯაბანთა, არა ბრიყვთა, არა სეფეთა,
გიორგი გქვია, შენი მიწის სახელი გქვია.
შენ უნდა ჭედდე საქართველოს
ხვალის ბედ-იღბალს,
შენ ჩემო შვილო, ჩემი ქვეყნის
ჯილაგო ჯიშო.
შენი სამშობლოს სალოცავო
ქართველთა ნიშო.
შენ, საქართველოს მომავალის
ნამდვილო ბურჯო
მტრებისთვის მუდამ გიაურო.
სისხლითაც გურჯო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

21737

# იყო პატარა საქართველო...

ტყვე – ცნობილი მეცნიერი კარლ ლანგე, ერთ-ერთი თანაავტორი ფაშისტების ცნობილი რაკეტის „ფაუ მესამის“ (ამ რაკეტაზე ამყარებდა გამარჯვების იმედს ჰიტლერი, მაგრამ საბჭოთა დაზვერვამ შეძლო მასზე მომუშავე მეცნიერების ხელში ჩაგდება). კარლ ლანგე უცილობელი სიკვდილისაგან ბატონ დავითს გადაურჩენია და მას შემდეგ ჩვენი თანამემამულე ღმერთი გამხდარა მისთვის. როცა გერმანელი სტალინის სიკვდილის შემდეგ გაუნთავისუფლებიათ, ბატონ დავითის სახელზე ჰამბურგიდან – ლანგეს ქალაქიდან მდიდრული ამანათი მოსულა და იმ ნობათით ქართველებს კარგად მოულხენიათ. ვინ მოსთვლის, ბატონ დავითს კიდევ რამდენი პატიმრის სიცოცხლე გადაურჩენია. მკურნალობდა ვორკუტის მოსახლეობასაც – ქალაქის მთავარ პედიატრად მუშაობდა. მადლიერ ვორკუტელებს თხოვნით მიუმართავთ ვოროშილოვისათვის გაენთავისუფლებინათ ექიმი და მათი თხოვნა აღსრულებულ იქნა.

მერე, როცა დავით კვიტაიშვილი საქართველოს დაუბრუნდა, მასთან ხშირად იკრიბებოდნენ ვორკუტის საკონცენტრაციო ბანაკებგამოვლილი ქართველები. მათთან ერთად არ იყო, მაგრამ ამ შეხვედრების ხშირი მონაწილე ყოფილა ჭაბუა ამირეჯიბიც. მათ მოსმენას არაფერი სჯობდაო, – ამბობს ბატონი ემზარი. სამწუხაროდ, მათგან უმრავლესი ცოცხალი აღარ არის... მათი დიდი სატკივარი საქართველო იყო და სამწუხაროა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობას ვეღარ მოესწრნენ...

ვინც დავით კვიტაიშვილს იცნობდა (იცნობდა კი მთელი თბილისი და უმეტესი საქართველო), მასზე რაღაცნაირი გულაჩუყებით საუბრობენ. არა, საქმე მარტო ადამიანის გადარჩენაში არ არის – მისი მთავარი იარაღი ადამიანობა იყო თავისი ნამდვილი მნიშვნელობით.

ერთი ჩემი ახლობლის ნათქვამიდან, რომელსაც შვილი გადაურჩინა: „პანიას მცდარი დიაგნოზი დაუსვეს – კარგა ხნის მანძილზე სულ სხვა დანიშნულების უამრავი წამლით ვჭყიპავდით. ბოლოს ბატონ დავითთან მივედით. ერთი მძიმე სიტყვა არ დასცდენია კოლეგებისადმი. მოდით, დანიშნულება შევცვალოთ, იქნებ ასე აჯობებსო, – ისე რბილად შეუდგა სხვისი გაფუჭებული საქმის გამოსწორებას, ჩემი შვილის სიცოცხლის გადარჩენისათვის ბრძოლას. და საერთოდ, შეხვიდოდით თუ არა მასთან, მისი სახის გამომეტყველება ამას გამოხატავდა: მე გისმენთ, მე მტკივა თქვენი, მე მზად ვარ დაგეხმაროთ“.



ვორკუტელი ქართველები: პირველ რიგში მარცხნიდან მეორე – დავით კვიტაიშვილი.

ბატონი დავითი ყოფილი პეროვსკაიას ქუჩაზე (ახლა გიორგი ახვლედიანის სახელობის ქუჩაა) ცხოვრობდა. ამ ქუჩაზე ცხოვრობდა ივანე გომართელიც. იცით... ივანე გომართელი.

უნებურად აღმოგხდება ბევრი უსულგულო ექიმის გადამკიდეს: ეხ, სადღა არიან ასეთები...

არა, ღმერთმა დაგიფაროს, არიან! კვლავაც იქნებიან – სახალხო მკურნალები, დიდი მამულიშვილები!

მანანა ზარიძე



საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქალისა და მამაკაცის ქირურგიული კონტრაცეპცია

*ქირურგიული კონტრაცეპცია დღეისათვის ყველაზე პოპულარული და ფართოდ გავრცელებული მეთოდია ოჯახის დაგეგმვის სხვა მეთოდებს შორის.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალთა ქირურგიული კონტრაცეპციების პირველი ფაქტები აღწერილია XIX საუკუნის დასაწყისში, მისი ფართოდ დანერგვა კი მოხდა 1930 წლიდან Pomeroy-ს მიერ სპეციალური მეთოდის მოწოდების შემდეგ. თავდაპირველად ოჯახის დაგეგმვის ეს მეთოდი გამოიყენებოდა სამედიცინო ჩვენებებით, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების ან შენარჩუნების მიზნით. მოგვიანებით იგი პოპულარული გახდა სოციალური და კონტრაცეპციული მოსაზრებითაც.

ჯანმრთელი ქალი განაყოფიერების უნარიანია 50-51 წლამდე, ჯანმრთელი მამაკაცი კი მთელი სიცოცხლის განმავლობაში. ვინაიდან წყვილთა უმრავლესობას 25-35 წლის ასაკში ჰყავს შვილების სასურველი რაოდენობა, ბუნებრივია მათ წინაშე დგება დარჩენილი ხნის განმავლობაში არასასურველი ორსულობისაგან თავის დაცვის საკითხი. სწორედ მათთვისაა ყველაზე ხელსაყრელი და მოხერხებული ქირურგიული კონტრაცეპციის მეთოდების გამოყენება, ვინაიდან იგი ყველაზე ეფექტურია, მუდმივი და უვნებელი გზაა ორსულობისაგან თავის დასაცავად არა მხოლოდ ქალებისთვის, მამაკაცებისთვისაც და, ამავე დროს, ითვლება ყველაზე საიმედო, უსაფრთხო და ეკონომიურ მეთოდად, რომელიც პრაქტიკულად არ ცვლის სქესობრივი ცხოვრების წესს.

ქირურგიული ტექნიკის დახვეწამ, სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის ზრდამ, ამბულატორიულ პირობებში პროცედურის შესრულების შესაძლებლობამ უმთავრესად ადგილობრივი ანესთეზიის ქვეშ და ამავე დროს დაბალმა ეკონომიურმა დანახარჯებმა მნიშვნელოვნად შეუწყეს ხელი, როგორც ქალის, ასევე მამაკაცის ქირურგიული კონტრაცეპციის პოპულარობის ზრდას, განსაკუთრებით ბოლო 10 წლის განმავლობაში.

ამჟამად მსოფლიოში შვილოსნობის ასაკის 100 მილიონზე მეტი ქალი სარგებლობს ამ მეთოდით და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით უახლოეს 20 წელიწადში მათი რაოდენობა კიდევ 100 მილიონით გაიზრდება.

ოჯახის დაგეგმვის ეს მეთოდები საქართველოში, კერძოდ ი. ჟორდანიას სახ. ს/კ ინსტიტუტში დანერგილია და წარმატებით ხორციელდება.

ქალის ქირურგიული კონტრაცეპცია, რომელიც წარმოადგენს საშვილოსნოს კვერცხსავალი მილების გადაკვანძვას ან დახშობას, მარტივი ლაპაროსკოპიული პროცედურაა. შეიძლება შესრულდეს ამბულატორიულად, პროცედურა კეთდება ლაპაროსკოპიულად, რაც გულისხმობს სპეციალური ოპტიკური ტექნიკისა და ტელე-ვიდეო აპარატურის გამოყენებით, ოპერაციის წარმოებას მუცლის ღრუს გაუხსნელად. ჩვეულებრივ იგი გრძელდება 15-20 წუთი, პაციენტი სტაციონარში რჩება პროცედურის ჩატარებიდან 2-3 საათს, შემდგომში მას პრაქტიკულად აღარ შეაწუხებს არასასურველი ორსულობისა და მით უმეტეს, აბორტთან დაკავშირებული პრობლემები.

მამაკაცის ქირურგიული კონტრაცეპცია, რომელსაც ვაზექტომიას უწოდებენ, ითვლება ოჯახის დაგეგმვის უფრო მარტივ, იაფფასიან და ეფექტურ მეთოდად ვიდრე ქალის ქირურგიული კონტრაცეპცია, თუმცაღა ეს უკანასკნელი გაცილებით პოპულარულია მთელ მსოფლიოში.

ვაზექტომია წარმოადგენს პროცედურას, რომელიც გულისხმობს სათესლე პარკში ბაგირაკის გადაკვანძვას. ოპერაცია მარტივია, ხანმოკლე (20-25 წთ.), მისი შესრულება შესაძლებელია როგორც კლინიკაში, ასევე ამბულატორიულად, პროცედურა არ ცვლის მამაკაცის სქესობრივი ცხოვრების წესს და გავლენას არ ახდენს მის პოტენციაზე.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ვაზექტომია არასკალპელური მეთოდით, რაც გულისხმობს სკალპელის (ქირურგიული დანის) გამოყენების გარეშე ოპერაციის წარმოებას სპეციალური ინსტრუმენტების დახმარებით.

ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ერთი საინტერესო ფაქტი: ბანკოკში (ინდონეზია), 1987 წლის 5 დეკემბერს, მეფის დაბადების დღეს მიეძღვნა ვაზექტომიის ფესტივალი, რომელზეც ერთი დღის განმავლობაში 48 საოპერაციო მაგიდაზე, არასკალპელური მეთოდით, შესრულებული იქნა 1200 ვაზექტომია.

ქირურგიული კონტრაცეპცია, როგორც ქალის, ასევე მამაკაცისა რეკომენდებულია იმ წყვილისათვის, რომელთაც უკვე ჰყავთ შვილების სასურველი რაოდენობა და შემდგომში აღარ აპირებენ მათ გაჩენას, ასევე იმ ქალებისათვის, რომლებისთვისაც ორსულობა და მშობიარობა სამედიცინო თვალსაზრისით უკუნაჩვენებია. ასეთ პათოლოგიათა რიცხვს განეკუთვნება:

გულ-სისხლძარღვთა მძიმე პათოლოგიები;

მძიმე ფორმის თირკმლის დაავადებანი;

მძიმე ფორმის შაქრიანი დიაბეტი;

ასევე ყველა ის დაავადება, რომლებიც შეუთავსებელია ორსულობასა და მშობიარობასთან. ჩამოთვლილი მიზეზები განიხილება, როგორც ქირურგიული სტერილიზაციის სამედიცინო ჩვევები და საუკეთესო გამოსავალია აღნიშნული პაციენტისათვის.

მეთოდები განიხილება როგორც შეუქცევადი, რაც თავის მხრივ გულისხმობს შვილოსნობის ფუნქციის საბოლოო დასასრულს და გადაწყვეტილების მიღებამდე წყვილისაგან მოითხოვს სერიოზულ განსჯასა და დაფიქრებას.

**არსენ გვენეტაძე,**
მედ. მეც. კანდიდატი ი. ჟორდანიას სახ. ადამიანის რეპროდუქციის ს/კ ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკი.

# „დიდუ, ჩემი სიკვდილი, ეს რა მოგსვლია, ქალო!“



კეთილი ღიმილი სიკეთისათვის განაწყობს ადამიანს... ქალბატონი დოდო ჭიჭინაძე იხსენებს პატარა მხიარულ ეპიზოდს, როგორ მოუხერხა ნინო ჩხეიძეს მოსკოვში სამკურნალოდ გამგზავრება და როგორ დაეხმარა ამაში იუმორის გრძნობა.

ჩემო ძვირფასო ნინიკო, მინდა ღიმილი მაინც მოვგვარო ჩემ საყვარელ ხალხს, რომელმაც იმდენი გაჭირვება გადაიტანა, რომ გულიანად გაცინება მოენატრა. მინდა ერთი ჩვენი თავგადასავალი მოვყვე. არ გამიჯავრდე, ჩემო ძვირფასო, შენ ხომ ბრწყინვალე სახასიათო არტისტი ხარ და გიყვარს, როცა მაყურებელს ახალისებ. მე ადგილკომის თავმჯდომარე, შენ კი დიდი უშანგი ჩხეიძის და თვითონაც მარჯანიშვილის თეატრის ღირსეული წარმომადგენელი ნინო ჩხეიძე ხარ!

ავად იყავი. მთხოვე არავითარი სახსარი არ გამაჩნია, არადა მოსკოვში ჩემი გამგზავრება აუცილებელია სამკურნალოდ. როგორც ადგილკომის თავმჯდომარეს მოგმართავ დახმარება გამიწიეო. მოვილაპარაკეთ და წავედით ჯანმრთელობის მაშინდელ მინისტრთან ბატონ ილია ზედგენიძესთან. კაბინეტში მისი მოადგილეებიც ისხდნენ. ვუთხარი, რომ გვჭირდება მიმართვა მოსკოვის ერთ-ერთ კლინიკაში, რომ არა გვაქვს არავითარი მატერიალური შესაძლებლობა, არც გზის ფული და არც იქ ყოფნისათვის საჭირო თანხა. მართალია, ქალბატონ ნინოს იქ ყავს მეგობარი საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ელენა გოგოლევა, მაგრამ ნინოს არ უნდა მისი შეწუხება-მეთქი. გაჩუმდნენ, გადახედეს ერთმანეთს. ეს არც ისე ადვილი საქმეაო, – სახეზე შევატყვე მინისტრს ამის თქმა უნდოდა... მე უცბათ გამეღიმა... გაკვირვებულებმა შემომხედეს, ალბათ გაიფიქრეს, ჯერ ჩვენ სასიკეთო არაფერი გვითქვამს, ნეტავ რას გვიღიმისო... მე კი იმაზე გამეღიმა, რომ მომაგონდა ჩემი და ნინიკოს შეხვედრა გოგოლევასთან და დავიწყე მოყოლა: იცით, ქალბატონი ნინო და ელენა ნიკოლაევნა დიდი მეგობრები არიან... ნინო ყოველ წელიწადს უგზავნის ჩურჩხელებს, ხმელ ხილს, ტყემალს, ელენა ნიკოლაევნას თურმე ძალიან უყვარს ტყემალი. ყველა გაკვირვებული მიყურებს. მე კი არ ვცხრები და განვაგრძობ... მოსკოვის მცირე თეატრი იყო ჩამოსული გასტროლებზე. ნინომ მთხოვა, წავიდეთ სასტუმროში, მოვინახულოთ ელენა ნიკოლაევნაო... ვიყიდეთ ხილი, ყვავილები და გავწიეთ... მინისტრი და მოადგილეები დუმან, ზრდილობის გამო მისმენენ. მე კი უფრო აქტიურად ვაგრძელებ! დიდი სიყვარულით შეგვხვდა ელენა ნიკოლაევნა, მოგვეფერა, დაგვკოცნა –„Как вы живот, ქალბატონო ელენა ნიკოლაევნა – я очин соскучила по вам, – მოწიწებით მიმართა ნინომ თავისი სასწაული რუსულით. – Ничего, дорогая Ниночка, видишь я в восемьдесять восемь приехала на гастроли...

- Я очин радуюс что ты приехал на Тбилиси. Как живот ваш муж Симон Исакович?

- Дорогая Ниночка, он помер!

– დიდუ, ჩემი სიკვდილი, ეს რა მოგსვლია, ქალო! – იტკიცა ნინიკომ ლოყაზე ხელი – почему мне не собщил, я приехал на Москву на оплакивана – გადმოყარა ცრემლები ნინიკომ.

– Успокойся, дорогая Ниночка, ему стало плохо, его отвезли в Кремлевскую больницу... На третий день мне сообщили что он помер...

- Когда это получился, ელენა ნიკოლაევნა, когда, - ჩააცივდა ნინიკო. Успокойся дорогая не плачь, это было давно, месяц тому назад...

ნინიკო ცოტა არ იყოს შეცბა... ყველას აუტყდა ისტერიული სიცილი – это было давно, месяц тому назад, – იმეორებდნენ მინისტრები, კვდებოდნენ სიცილით...

გაგვიკეთეს ყველაფერი, რასაც ვთხოვდი. ყველა ხარჯები სამინისტრომ თავის თავზე აიღო. უდიდესი მადლობა გადავუხადე მათ და გამოვედით.

გამოვედით თუ არა ნინიკო საშინელი გულმოსული დამეტაკა... რა გინდოდა, ქალო, ამ ჩემ რუსულთან, რაზე მომჭერი თავი საქვეყნოდ?

– თავი კი არ მოგჭერი, საქმე გაგიკეთე. მე რომ შენი და ელენა ნიკოლაევნას დიალოგი მათ წინ არ გამეთამაშა და ლოყაზე ხელი არ მეტკიცა – ვაი, ჩემი სიკვდილიო, არ მეკივლა, მიმართვის მეტს ვერაფერს მივიღებდით... ახლა მე დაწყნარებული ვარ და სამკურნალოდ გიშვებ. რას მომჩერებიხარ, რას? არ ვარ კარგი ადგილკომი? ახლა თვითონ ნინიკო გაიხდა სიცილისაგან მოსაბრუნებელი...

როცა ადამიანებს კარგ გუნებაზე დააყენებ, მათ სიკეთის გაკეთების სურვილი უჩნდებათ.

**დოდო ჭიჭინაძე**

# მინდია არაბული

*ეთერ თათარაიძის მოსვლას ქართულ მწერლობაში სხვანაირი ხიბლი ჰქონდა, მეტად უცხო და უჩვეულო იყო ჩვენი მაშინდელი „უძრაობის“ პერიოდისა. აკი ამიტომაც ხალხს განსაკუთრებით დაამახსოვრდა...*

*პირველი „საქართველოს ქალი“ იყო სადაც ეთერის ლექსები დაიბეჭდა.*

*პირველი იქნება „საქართველოს ქალი“, ამირან არაბულისა და ეთერ თათარაიძის ვაჟის მინდია არაბულის შემოქმედებას რომ წარმოუდგენს მკითხველს.*

*ერთი კარგი ქართველი ვაჟკაცია მინდია, და ვიტყვით ძველებურად — შემკული ყოველგვარი სიკეთითა.*

*ჯერ ხასიათისა ვთქვათ, მერე ნიჭისა.*

*მასში მრავალი კეთილი, მაგრამ საპირისპირო თვისება ჰარმონიულად არის შერწყმული თუნდაც:*

*ხევსურის (მამის მხრიდან) მამაცობა, სიფიცხე და სიტყვაძუნწობა, თუშის (დედიდან) მოთმინებასთან, გულჩვილობასთან და სიტყვაუხვობასთანაც. არქაულობა (წინაპარ ქართველთა წესისამებრ, ტრადიციების დამცველი) სუპერთანამედროვეობასთან (ისე გრძნობს ამერიკაში თავს, (რა თქმა უნდა კარგი გაგებით), როგორც თევზი წყალში.*

*ნიჭისა...*

*ბავშვობიდან ხატავს და ცნობილი მხატვრების შეფასებით, მეტად სერიოზული მხატვარია.*

*საოცარი სმენისა და ხმის პატრონია — ნოდარ ანდღულაძის საყვარელი მოწაფე.*

*პრეზიდენტის გრანტის მფლობელია.*

*სწავლობს ამერიკაში, კაროლინის შტატის ბრევარდის კოლეჯში, ვოკალისა და ტურიზმის ფაკულტეტებზე, ანგიერ ბ დიუქის სახელობის სტიპენდიატია.*

*ამასთან, კარგი სპორტსმენიცაა.*

*და თუ როგორ დგამს პირველ ნაბიჯებს მწერლობაში, ამას საჭაშნიკოდ შემოთავაზებული ეს ჩანაწერებიც განსაზღვრავს.*

**მანანა ზარიძე**

## ღამის ამბავი

— უცნობი ფრინველის ხმა, რომელიც უფრო გაშორებს იმ ყველაფერს, რასთანაც ყოველთვის ცდილობდი ახლოს ყოფილიყავი. ეს ხმა ღამღამობით ისმის და გაშინებს, ხდები უნებისყოფო, გინდა გაექცე ყველას, ყველაფერს. ხანდახან იმდენად აუტანელი ხდება ეს ყველაფერი, რომ ხვდები, შენც აუტანელი, გაუსაძლისი ხდები, მუდამ ამაყი სახით. და რომ ჩახედავ კიდევ ერთხელ შენს სულს, პოულობ სულ სხვა, უბრალოდ, კეთილ ადამიანს.

— რატომ მიყვები ამ ყველაფერს?

— რატომ? რომ მიხვდე, რამდენი გზა იწყება იმ მოულოდნელი გზაგასაყარიდან, სადაც შენი ცხოვრების ერთ დღეს უეცრად ჩერდები. ჩერდები, ირჩევ გზას და მოგვიანებით ხვდები, რომ ეს გზა სრულიადაც არ ჰგავს იმ ზღაპრის გზას, დედა პატარაობისას რომ გიყვებოდა ყოველი ძილის წინ.

— იქნებ მხოლოდ პირველი მონაკვეთია ამ გზის ასე რთული?

— არა! თუმცა იქნებ... მაგრამ სწორედ ამ პირველ მონაკვეთს რომ იხსენებ, მერე მომავლის დაფიფქული გრძელი ან სულაც მოკლე გზა-ბილიკები გეპარებიან და გაშინებენ. ხანდახან თითქოს გემუქრებიან. მომავალზე ფიქრი გაშინებს, იმ უცნობი ფრინველის ხმა, რომელიც ამდენ ცუდს გიღვიძებს სულში... ფიქრობ, რა იქნება, როგორ იქნება? იქნება კი?

— შენ ყოველთვის გიყვარდა ყველაფრის გაზვიადება...

— ...ხომ არ გეშინია?

— რისი უნდა მეშინოდეს?



● მინდია არაბული (მარჯვნივ)

# ანონიმური

***— არის თუ არა ჩასახვის საწინააღმდეგო აბები მამაკაცებისათვის?***

მრავალი წელია ამ იდეაზე მუშაობენ. კაცებისათვის ამგვარი აბების შექმნის ყველაზე ძირითადი პრობლემა ის გახლავთ, რომ ჰორმონები, რომლებიც აქვეითებენ სპერმის გამოყოფას, იმავდროულად ახშობენ სექსუალურ ლტოლვას. ამიტომ მედიკოსები შიშობენ, რომ ჰორმონალურ მექანიზმთან დაკავშირებული ასეთი ექსპერიმენტები მამაკაცს საერთოდ დაუკარგავს სასიყვარულო ურთიერთობის ხალისს. ამასთანავე ჯერ ვერ დადგინდა, დროებითი უნაყოფობის ეფექტი მართლაც დროებითი იქნება თუ მუდმივში გადაიზრდება?!

***— რომელი პროფესიები უწყობს ხელს მამაკაცებში პოტენციის დაქვეითებას?***

იმ პროფესიათა სიის თავში, რომელიც ხელს უწყობს პოტენციის დაქვეითებას, პირველ ადგილზე უთუოდ მძღოლის პროფესია მოხვდება. ხანგრძლივი ჯანჯღარი და ერთ პოზაში ჯდომა

რა ვიცი, იქნებ მე შეგაშინე...

– შენ თუ გეშინია?

– კონკრეტულად!

– სიკვდილის გეშინია?

– არა, უბრალოდ გული მწყდება...

– არ მჯერა, მატყუებ!

– სიმართლეს გეუბნები, ისე, ადრე მეშინოდა.

ოცნება გაქვს?

– აბა ოცნების ნებაც თუ არ მოგვცა ღმერთმა...

– რას ოცნებობ ყველაზე მეტად?

– სიკვდილის სიკვდილს!

– აკი არ მეშინიაო...

– ეს შიში არ არის, ეს ყველაზე დიდი, სულელური სურვილია, რომელსაც იცი, რომ ვერასოდეს აისრულებ.

– აბა, რისი გეშინია ყველაზე უფრო?

– მარტოობის! რო გათენდეს დღე, გამოვიდე გარეთ და აღმოჩნდეს, რომ მარტო ვარ მთელ დუნიაზე, აი, რისი მეშინია... ამ ქვეყნად მარტოდ ყოფნის...

– დიდია, არა, ქვეყანა?

– დიდია, დიდი, დაიძინე, სადაცაა უკვე გათენდება.

– დამიფიცე, რომ არასოდეს დამტოვებ.

– ... ... გეფიცები...

და მეორე დილით უსულო, თითქოს გაღიმებული დახვდა... მიხვდა, რომ მიადგა იმ გზაგასაყარს, სადაც უნდა გაჩერდე და დაფიქრდე. ეს გზა სრულიადაც არ ჰგავს იმ ზღაპრის გზას, დედა რომ გიყვებოდა პატარაობისას ყოველი ძილის წინ...

პატარა ოთახი მთელ დუნიად მოეჩვენა, მაგრამ არ შეშინებია, უბრალოდ დიდი ცრემლი ჩამოუგორდა ლოყაზე...

**26. 11 მ. ა. 1999 წ.**
**ბრევარდი, NC**

## ფერ-ადი

გამთბარი. გორის ფხაზე ანთებულ მთვარეს რომ გახედავ, სწორედ მაშინ მიხვდები, რატომ ცოცხლობ, რატომ სუნთქავ ამდენი წელიწადი. ამ თავხმელ მთვარეში სიყვარული და ცხოვრების რიტმია, სულის ზეიმი, რომელსაც ვერაფერი გააჩერებს! ამ რიტმს ჰყვებიან სკივები და მიდიან მაღლა და მაღლა, ცაში...

გუშინაც ვფიქრობდი, გუშინწინაც, მაგრამ ვერ მივხვდი, რა არის ცხოვრება; მაგრამ მივხვდი ერთ რამეს: ამის სრულ პასუხს ვერასოდეს მივხვდები.

ამ ბოლო დღეს სარკეში ვხედავ დიდ ღირსებებს: თუ დაუკვირდები მიხვდები, როგორ შეგიძლია შეიცვალო, მაგრამ დროზე უნდა გაჩერდე, თორემ ადვილად შეიძლება დაგიფუცხუნონ სტუმრებმა:

დაკარგულ დროზეც შეიძლება რამის თქმა, მაგალითად, რომ არ უნდა დაგეკარგა. დრო ფულია! არის კი? შეიძლება რაღაც გარკვეული დრო. დრონი მეფობენ? კი მეფობენ! ოღონდ უგვირგვინოდ და დაყვედრებების გარეშე.

სულ რომ არაფერი, რა ჯობია მაღალმთიან სოფელში სკოლის მასწავლებლობას? კლასიკური საქმეა.

ცივა ოთახში, დროა გათბე და გახედო მთვარეს, რომელიც დიდი ხანია გაშტერებული იყურება სარკეში...

**მ. ა. 28.11.99 წ.**
**ბრევარდი, NC**

## ჰაი ვალა მალემა

წვიმა მოვიდა, გუშინ მზე იყო. მივდივარ, ვიკარგები... ღამით იქნებ მოიხსნას მთვარემ პირბადე და გაანათოს თეთრად. მშვიდობა...

თოვლი მოვიდა მთაში, თვალებს წითელი გადაჰკვრიათ, ძალიან შორს ბოლვერა ძაღლი მოკვალავს ახალ თოვლს, რატომ გარბიან ცხენები ბარისკენ?

მიტოვებული საყდარის კართან ჯოხი მიგდებული, სანთლები ორი თუ სამი, ჩამქრალი... მხოლოდ სუნთქავს საყდრის ლიბო, წვიმს...

ნაზამთრევ მთას ბილიკი გაჰკვრია ქსელივით; ბილიკს ცხვარ-მეცხვარე გაჰკიდებია, დაღლილი, სახეგარუჯული, გადაიღო... უკვე ახლოს არიან, სოფლიდან გარმონის ხმა მოესმათ, გაჩერდა ცხვარ-მეცხვარე, დაილოცეს მგლის მუხლი, ეღიმებათ პირგასაპარს თუშებს.

პირდამჯაულნი, მანდილწაკრულნი ცხენთა მეფენი... აბუქდა მთის წვერი, არაგვის პირზე წერთხალა...არავის შეწყალებას არ აპირებს დღეს არაგვი, პირდაღებული ელოდება მსხვერპლს... მაგრამ ამ მთებში ყველასთვის მარადიულობა უჩუქებია ხატისკარს, დოლის ხმა,.. არავინ კვდება დღეს, ყველა ღრეობს. ყველას შეუძლია იტიროს, მაგრამ არავინ ხედავს მთებს, ახლა შუბლშეკრულნი ჭიქებს ჩახედავენ, წინაპართა მოგონებას იტყვიან. ტირიან მაშინ, როდესაც თვალი წვერს მიაღწევს...

გამურული ქვაბი, ნახევარი ცხვარი თავ-თავქვ დაკიდებული, დამტყვრალი ხელებით ხორცს კუწავს თეთრწვერა კაცი... რა აჩერებდა აქ ამდენი წელი? თვითონაც არ იცის პასუხი!.. ჰყავს ცხვარი, ორი ძაღლი, სამი ცხენი და ერთიც ფერდამფრთხვალი გუდა... ცხვარი გაიშალა, ისევ დაიწყო წვიმა, დოლი, ეს რიტმი ცეცხლს ჰგავს, გორზე აბრიალებულს...

**28.11.99 წ. მ. ა**

# შეკითხვები

ხელს უწყობს სისხლის მიმოქცევის დარღვევას სასქესო ორგანოებში, პროსტატის ანთებას და ერექციის შესუსტებას.

ასევე სერიოზული რისკის წინაშე დგანან ცხელ საამქროთა მუშაკები, მეშახტეები, მეზღვაურები და ისინი, ვინც გადაცივებას გაჩიცდის – მაგალითად, ბაზრის დახლებთან მდგომები და გარეთ სიცივეში ხანგრძლივად მომუშავენი.

***– მავნეა თუ არა სექსი ქალებისათვის კრიტიკულ დღეებში?***

მენსტრუაციის დროს საშვილოსნოში ბაქტერიების შეღწევის რისკი იზრდება, რასაც შესაძლოა მოჰყვეს საკვერცხეების ან სხვა შიდა სასქესო ორგანოების ანთება.

ამის მიუხედავად, ზოგი გინეკოლოგი რეკომენდაციას აძლევს კრიტიკულ დღეებში სექსს, რადგან მათი აზრით ეს ხელს უწყობს ტკივილისა და სპაზმების შემცირებას.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# უთანასწორო ქორწინების შუქ-ჩრდილები

*„აცეტებულ ბერიკაცზე სასაცილო ამქვეყნად არაფერია“ — ასეთ რეპლიკას ხშირად გაიგონებთ იმ ასაკოვანი მამაკაცების მიმართ, თავისზე ბევრად ახალგაზრდა ქალებზე რომ ქორწინდებიან. მაგრამ მართლა ასე ცუდი და უპერსპექტივოა უთანასწორო ქორწინება? ამ თემაზე გაზეთ „ტრუდის“ კორესპონდენტი მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატს, ფსიქიატრ ელენე შაპელთოვას ესაუბრება.*



**— ალბათ შეამჩნევდით, რომ მოდაში ე. წ. „უთანასწორო ქორწინება“ შემოვიდა, როცა საქმრო საცოლეს მამად, ზოგჯერ კი ბაბუადაც ეკუთვნის. როგორ შეაფასებდით ამგვარ კავშირებს?**

— გაგებით და მას მოდის გამოძახილად კი არა, საზოგადოებრივ ნორმად მივიჩნევ. ითვლება, რომ 20-25 წლის ქალისათვის ყველაზე შესაფერისი საქმრო ორმოცს გადაცილებული მამაკაცია, რომელსაც ამ პერიოდისათვის უკვე მოპოვებული აქვს საზოგადოებრივი მდგომარეობა, პროფესიული წარმატება, გააჩნია საკუთარი ცხოვრებისეული და სექსუალური გამოცდილება.ამ უკანასკნელში „სექსის ტექნიკის“ ფრიადზე ჩაბარება კი არ იგულისხმება, არამედ იმის ცოდნა როგორ მოეპყრას ქალს და მიანიჭოს სექსუალური კმაყოფილება. რაც ეწინააღმდეგება იმ გავრცელებულ მოსაზრებას, თითქოს მამაკაცები ასაკთან ერთად სექსის ინტერესს კარგავენ და ახალგაზრდა ქალს ხანდაზმულ მეუღლესთან საწოლში განხიბლვა ელის.

თუ ამ პრობლემის ამერიკელ მკვლევარს დენიზ დონელს დავუჯერებთ, თურმე, ჩვენი გაგებით ჩვეულებრივი ცოლ-ქმრული წყვილი სექსუალურ ცხოვრებაზე მხოლოდ იმიტომ ამბობს უარს, რომ ასაკთან ერთად ქალები სასიყვარულო თამაშების მიმართ ცივდებიან, იმ დროს, როცა თითქმის ყოველ მეექვსე ხანდაზმულ მამაკაცს ქორწინების გარეშე კავშირები აქვს და სექსისაგან თავშეკავებას ოთხმოცი წლის ასაკშიც არ აპირებს. ასე რომ, ფიზიოლოგიის მხრივ, „უთანასწორო“ ქორწინება აბსოლუტურად მისაღებია.

**— მაგრამ ნებისმიერი ქორწინების საფუძველი მარტო სექსი კი არა, ფსიქოლოგიური შესაბამისობაცაა. ნუთუ ასეთი რამ შესაძლებელია იმ ქალსა და მამაკაცს შორის, რომელთაგან ერთს, ჯერ კიდევ ყველაფერი წინ აქვს, მეორეს კი, უხეშად რომ ვთქვათ, „ცალი ფეხი სამარეში უდგას“?**

— გეთანხმებით,ამგვარი კავშირის თითქმის ყველა პლუსის მიუხედავად, ბევრი გოგონა როდი დათანხმდება ჭაღარა თაყვანისმცემლის ცოლობას. როგორც წესი, „უთანასწორო“ ქორწინების მომხრე, ქალების გარკვეული ტიპია, ე. წ. „ფისუნიები“, რომლებიც დიდად აფასებენ ყურადღებას, მზრუნველობას, მფარველობას და ზედმეტადაც არ არიან სექსში გათვითცნობიერებული. დამოუკიდებელი, ემანსიპირებული ქალბატონი ყოველთვის თანატოლს ან ოდნავ მასზე უფროს მამაკაცს აირჩევს, „ფისუნია“ კი იმას, ვინც მისთვის იმავდროულად მამაც იქნება, მეუღლეც და მეგობარიც.

**— როცა საუბრისათვის ვემზადებოდი, სპეციალურად ვაკვირდებოდი ასაკოვან მამაკაცებს, ლამის „ნიმფეტკებზე“ რომ დაქორწინდნენ და იმ დასკვნამდე მივედი, რომ ისინი გარკვეული ბიწიერებით გამოირჩეოდნენ. აქ საქმე გარყვნილებასთან ხომ არა გვაქვს?**

— ცნობილი სექსოლოგი იგორ კონი ამ ფაქტს სხვაგვარად ხსნის – ჩვენ წარმოდგენაში სინორჩე, ახალგაზრდობა ყოველთვის რაღაც ნათელთან და მშვენიერთან ასოცირდება, სიბერე კი იმასთან, რასაც ყველა გაურბის. სწორედ აქ იბადება მისწრაფება თაობებს შორის პირობითი ბარიერის შექმნისა.

**— როგორ ფიქრობთ, ახალგაზდა ქალებს ამ შემთხვევაში ანგარება არ ამოძრავებთ, ნუთუ ისინი ხანდაზმულ უფულო მამაკაცებსაც ასეთივე წარმატებით გაჰყვებიან ცოლად?**

— ამას მე ცხოვრებისეულ, ყოფით გათვლას, ანგარიშიანობას ვუწოდებდი. უიღბლო და საცოდავი კაცი არც ახალგაზრდა ქალს სჭირდება და არც ასაკოვანს. სოციალურად წარმატებული მამაკაცის, საკუთარი მომავლის უზრუნველყოფის მიზნით არჩევა, გამართლებულია. აბა, რა არის ამაში ცუდი? სამაგიეროდ, მოწიფული მამაკაცები იმდენ ჰორმონებს იღებენ, ახალგაზრდას რომ არც დაესიზმრება. ამიტომაც გამოიყურებიან ჭაღარათმიანი სასიძოები ასე ყოჩაღად და ახალგაზრდულად.

**— ერთი ფილმი მახსენდება, სადაც პაპანოვის ხანდაზმული გმირი ახალგაზრდა მეუღლეს ვერაფრით აკმაყოფილებს და ბოლოს იმქვეყნადაც გაემგზავრება.**

— ცხოვრებაში ყველაფრის საფასურს ვიხდით, მათ შორის ახალგაზრდა ქალთან ყოფნის სიამოვნებასაც. სახელგანთქმულმა ამერიკელმა მულტიმილიონერმა ბერნი კორნფილდმა 70 წლის ასაკში 17 წლის გოგონასთან გააბა რომანი და, როგორც ამბობენ, საბედისწერო ვნებას ემსხვერპლა. მაგრამ ვინ იცის, რამდენს გაატანდა იგი ჩვეულებრივ პირობებში? საერთოდ, თუ სერიოზულად ვიმსჯელებთ, ასეთი ქორწინების „წინააღმდეგ“ მხოლოდ ერთი არგუმენტი არსებობს – დაზარალებულნი მოღალატე ქმრების მეუღლეები რჩებიან.

**— შევეშვათ ხანდაზმულ მამაკაცებს, ჭკნობაშეპარულ ქალბატონებზე რაღას გვეტყოდით, პირტიტველა ბიჭებისაკენ რომ აპარებენ მზერას?**

— ე. წ. მატრონები ბევრ მამაკაცში ქვეცნობიერად მზრუნველობის იმ განცდას იწვევენ, ბავშვობაში დედისაგან რომ იღებდნენ. თუკი ქალი მოსაფერებლად, დასაშოშმინებლად და მოსასმენად მზადაა, გარკვეული ტიპის – ინფანტილური, გაუწონასწორებელი ჭაბუკები სიმშვიდის და კომფორტის მოსაპოვებლად იოლად თმობენ თავისუფლებას. ქალი კი ამ დროს შესანიშნავ სტიმულს იღებს, ყურადღება მიაქციოს საკუთარ გარეგნობას, უმაღლდება თვითშეფასების უნარი, ხოლო მამაკაცს სანაცვლოდ მატერიალური კეთილდღეობა (როგორც წესი, ასეთი მამაკაცები ქალების კმაყოფაზე იმყოფებიან) და სითბო რჩება. ამ კავშირის მინუსი ისაა, რომ ჭკნობაშეპარულ ქალბატონებს ყოველთვის არ შეუძლიათ შვილის გაჩენა, და მაინც, მსგავსი ქორწინებანი საკმაოდ გამძლეა, განსაკუთრებით მაშინ, თუ ქალი, ახალგაზრდა კაცისათვის კრიტიკულ მომენტში, მოახერხებს მას ცოლობაზე მეტად მეგობრობა გაუწიოს.

ესაუბრა **ირინა ბორისოვა**

# ბაბო დადიანი



ადამიანები ფოთლებივით ცვივიან სიცოცხლის ხიდან, – ზოგი მართლა ფოთოლივით უკვალოდ ქრება, ზოგი კი...

ქალბატონი ბაბო დადიანი სიცოცხლეშივე ლეგენდად იქცა, ცხოვრების მთელი სიტკბო და სამსალა ბოლომდე შესვა და საუკუნეს მიღწეული აღმატებული სიდიადით აბრძანდა ზეცად.

აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის შვილთაშვილი ცოცხალი ძეგლი იყო საქართველო- აფხაზეთის განუყოფლობის და ჯიშ-ჯილაგის ერთიანობისა. ბარბარე – ბაბო დადიანი დიდედა თამარმა აღზარდა – მთავარ მიხეილ შარვაშიძის ასულმა. სწორედ დიდედამ ჩაუნერგა ის კეთილი თვისებები, რომლის წყალობით ღირსეულად ატარა მძიმე ჯვარი, ბედისწერამ რომ არგუნა.

წარჩინებულ საზოგადოებაში აღზრდილს ცხოვრების ბოლომდე შერჩა განუმეორებელი მადლი და ხიბლი. მისი დახვეწილი მანერები, მისი მოზომილი სიტყვა-პასუხი უნებურად მოწიწებით განაწყობდა ირგვლივ მყოფთ. მისი სიახლოვე ადამიანებს აკეთილშობილებდა, სულს უნათებდა...

საოცარი პიროვნება იყო – არასდროს არაფერზე წუწუნებდა, – განა შეიძლება ადამიანმა 96 წელი ისე განვლოს, რომ არაფერმა შეაწუხოს, ყოველთვის კარგად იყოს?.. მის მძიმე წლებში ჩემი მშობლებიც არ იყვნენ დაბადებულნი, მე კი, რაც თავი მახსოვს, ბაბო დადიანი არასოდეს ცუდად არ მინახავს. დარეკავდა – ყოველთვის კარგად იყო, დავრეკავდი – აღფრთოვანებით მხვდებოდა, შინ ვეწვეოდი და მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა... განა მარტო მე, ყველას ასე ხვდებოდა, ყველა უყვარდა, ყველას იტევდა მისი სათნო გული. მუდამ არისტოკრატულად ჩაცმულ-დახურული იყო – შინ თუ გარეთ, წირვა-ლოცვასა თუ სამსახურში, – სამკაულები უყვარდა ძალიან; ყვავილები უყვარდა, მაგრამ როცა მიართმევდნენ, საშინლად შეწუხდებოდა – რატომ გაისარჯეთ, – თუ გიყვარდე, ნურაფერზე შეწუხდები, მარტო შენი მოსვლით გამახარეო. ეს გამოთქმა უყვარდა: „თუ გიყვარდე“!

საოცარი სიყვარული იცოდა, თუ ვინმე უყვარდა, უკიდეგანოდ უყვარდა... სწორედ ამ სიყვარულმა შეაქმნევინა ის არქივი, რომლის წყალობითაც მომავალ თაობებს გადასცა წინაპართა განუმეორებელი სახეები, თავად-აზნაურთა უნიკალური ფოტოები. მან ეს არქივი გადასახლებებშიც თან ატარა, ქვის ქვეშ დამალა და მაინც გადაარჩინა.

ყველას და ყველაფერს უფრთხილდებოდა, – შვილები სიტყვიერი ანდერძითაც კი არ შეაწუხა, წინასწარ დაწერილი ჩაუდევს საწერი მაგიდის უჯრაში, – ყველას ყველაფერი გაუნაწილა, მთავრის სავარძლიდან მოყოლებული. ქალბატონმა ბაბომ ორი შვილი გაზარდა – მშვენიერი თათული, არქიტექტორ თენგიზ ღვინიაშვილის მეუღლე და გიორგი – დახვეწილი არისტოკრატი, – გაზარდა აგრეთვე ლიუდა სართანია – თავისი ძმის შვილიშვილი. გიორგი და თათული თავის ოჯახებში ცხოვრობენ, ლიუდა კი ბოლომდე ბაბოსთან დარჩა.

...როგორ განიცდიდა ბოლო წლების საქართველოს ყოფას, – მხოლოდ სამშობლოსათვის ატირებული მინახავს ქალბატონი ბაბო, პირადი წუხილით არვის ამძიმებდა...

სრულიად ახალგაზრდა დააქვრივეს კომუნისტებმა... როგორ ამაყობდა მეუღლის სიმტკიცით და შეუვალობით, – ხელ-ფეხზე ყველა ფრჩხილი წააძრეს, მაგრამ მაინც ვერ ათქმევინეს, ლონდონში რომელი ქართველები სწავლობდნენ მასთან ერთადო...

ჯვრისწერაზე, სიონის საკურთხეველთან დადებული ერთგულების აღთქმა სიცოცხლის ბოლომდე სიწმიდით ატარა მშვენიერმა ქალმა, – ყოველთვის ბედნიერი იყო, როცა იმ დღეს იხსენებდა, – თანაც დასძენდა ხოლმე: მეჯვარეები მერი შარვაშიძე და ქაქუცა ჩოლოყაშვილი იყვნენო.

ამაგიანი და სხვისი სიკეთის დამნახავი ხშირად იხსენებდა, – მეორე გადასახლებისას, სომეხმა მეზობელმა თექვსმეტი მანეთი და უკანასკნელი ხურდები ჯიბეში რომ ჩაუყარა, – მეორე დღეს მისი ოჯახი ულუკმაპუროდ დარჩაო... თავის სიკეთეზე კი არ უყვარდა ლაპარაკი, – თუმცა ყველამ იცოდა, გადასახლებაშიც რომ თავისი შვილების ლუკმას სხვა, უფრო გაჭირვებულებს უნაწილებდა...

ამ ბოლო წლებში ლამაზ-ლამაზი ფაჩუჩების ქსოვა დაიწყო და თავის საყვარელ ადამიანებს ურიგებდა, – ჩემს სახსოვრად გაცვითეთო... როცა ვუთხარი: ამას რელიქვიად შევინახავ-მეთქი – თუ გიყვარდე, ჩაიცვი და კიდევ მოგიქსოვო.

კეთილმორწმუნე ქალბატონი ლხინსა თუ ჭირში მუდამ ღვთის მადიდებელი იყო. წირვაზე თუ ერთი ადამიანი იდგა, ის ერთი ბაბო დადიანი იყო... სწორედ ასეთი ერთგულებისათვის საქართველოს წმიდა სინოდის გადაწყვეტილებით ქალბატონი ბაბო დადიანი წმიდა გიორგის პირველი ხარისხის ორდენით დააჯილდოვა კათალიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ.

ბაბო დადიანი საოცარი მაგალითი იყო სიდიადის, სიმტკიცის, კეთილშობილების და თავმდაბლობის...

ძალიან უყვარდა წმინდა გიორგი, – აკი, ამიტომაც დაარქვა თავის სიყრმის შვილს გიორგი...

ძალიან უყვარდა გიორგობის თვე, აკი, ამიტომაც წაიყვანა ამ თვეში უფალმა...

გეორგინები ვარდებთან ერთად ფეხქვეშ ეფინებოდნენ უკანასკნელ გზაზე.

პატრიარქმა წმიდა სინოდის წევრებთან და სამღვდელოებასთან ერთად ორჯერ გადაუხადა პანაშვიდი საკათედრო ტაძარში, – თაფლის სანთლები იდუმალ ნათელს აფენდნენ, სიონის დედო-ზარმა კი საუკუნო განსასვენებლამდე მიაცილა დიადი ქალბატონი.

**ნანა ბაგრატიონ-დავითაშვილი**

# კულინარია კულინარია

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნუშის ნამცხვარი

35 ცალზე მასალად საჭიროა:
100 გრამი კარაქი, 3 კვერცხი, 200 გრამი შაქრის „პუდრა“, 3 სუფრის კოვზი რომი ან კონიაკი, 4 წვეთი ნუშის არომატული ზეთი, ერთი მწიკვი მარილი, 1 ჩაის კოვზი დარიჩინი, ერთი მწიკვი კარდამონი, 400 გრამი ფქვილი, 100 გრამი დანაყილი ნუში, 1ლიტრი ზეთი, ნახევარი ჩაის ჭიქა დანაყილი ორცხობილა.

მომზადების წესი:

1. გაადნეთ კარაქი. კარგად ათქვიფეთ კვერცხი, შაქრის „პუდრა“, რომი, ნუშის ზეთი და სანელებლები.

2. ცომს დაუმატეთ გამდნარი კარაქი. ფქვილს შეურიეთ დაფქვილი ორცხობილა და მოაყარეთ ცომს. იქვე დაუმატეთ დანაყილი ნუში და ყველაფერი კარგად აურიეთ.

3. მიღებული ცომი 90 წუთით გრილ ადგილას დადგით. შემდეგ 2 სმ-ის სისქეზე გააბრტყელეთ და დანის ან სპეციალური ფორმის მეშვეობით პატარა რომბები ამოჭერით. პატარა „ნუშები“ 175 გრადუსამდე გაცხელებულ ზეთში ჩაუშვით და შეწვით, სანამ ღია ყავისფერი არ გახდება. შემდეგ ქაფქირით ამოიღეთ, დაალაგეთ სინზე და ზემოდან შაქრის „პუდრა“ მოაყარეთ.

## კრენდელები

35 ცალზე მასალად საჭიროა:
ერთი ჩაის კოვზი მარილი, ერთი შეკვრა ვანილი, 300 გრამი ფქვილი, 1ლიტრი ზეთი, 150 გრამი შოკოლადის მინანქარი.

მომზადების წესი:

1. ქვაბში აადუღეთ ნახევარი ლიტრი მარილიანი წყალი, ჩამოდგით ცეცხლიდან, დაუმატეთ კარგად გაცრილი ფქვილი და ვანილი. კარგად დაზილეთ კულინარიული ნიჩბით, დააფარეთ ქვაბს ტილო და შეაგრილეთ.

2. მიღებული ცომით აავსეთ საკონდიტრო პარკი და ვარსკვლავისებური ცხვირსამაგრით ფქვილმოყრილ ტილოზე ინგლისური S მაგვარი პატარა კრენდელები დასვით. ზეთი 175 გრადუსამდე გააცხელეთ, კრენდელები ჩანგლით ფრთხილად აიღეთ და შიგ ჩაუშვით. როცა ნამცხვარი ოქროსფრად დაიბრაწება,ქაფქირით ამოიღეთ და სინზე დააწყვეთ. ნელ ცეცხლზე გაადნეთ 150 გრამი შოკოლადი, კრენდელები ერთი ბოლოთი შიგ ჩაუშვით და შეაგრილეთ. თუ გსურთ, ზემოდან შაქრის „პუდრაც“ მოაყარეთ.

# კროსვორდი



**თარაზულად:** 7. თბილი ქვეყნის ხე ან ბუჩქი. 8. ცხენოსნობაში შესაჯიბრებელი სპეციალურად მოწყობილი ადგილი. 9. ქართველი ქორეოგრაფი, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი. 12. რაიმე ადგილის ან გეოლოგიური პერიოდის მცენარეთა ყველა სახეობის ერთობლიობა. 13. მწკრივის, მწყობრის, ფრონტის, ჯარის განლაგების მარჯვენა ან მარცხენა მხარე. 14. ქალაქი ჩრდ. იტალიაში. 17. საზეიმო წვეულება. 18. სითბოს რაოდენობის საზომი ერთეული. 19. მსხვილი საჯარისო შენაერთი. 21. ციური სხეული, რომელიც მზის გარშემო ბრუნავს და არეკლილი მზის შუქით ანათებს. 25. სიმებიანი სამუსიკო საკრავი. 26. რაიმე ნაკეთობის სანიმუშო ეგზემპლარი. 27. მდინარის, ტბის პირებზე გავრცელებული ისრის მოყვანილობის მცენარე. 30. გემრიელი საჭმელების მცოდნე და მოყვარული. 31. პაროდიის მსგავსი იუმორისტული პოეზიის სახეობა. 32. მუსლიმანური მთვარის კალენდრის მეცხრე თვე, რომლის განმავლობაშიც მორწმუნენი ინახავენ მარხვას მზის ამოსვლიდან ჩასვლამდე.

**შვეულად:** 1. კარსტული მღვიმე ქუთაისის მახლობლად, სამგურალის სერზე. 2 მთათა სისტემა სამხრ. ციმბირში. 3. ქართული ხალხური (კახური) სუფრული სიმღერა. 4. მასობრივი კრება რაიმე საჭირბოროტო (უპირატესად პოლიტიკურ) საკითხებზე. 5. რუმინული და მოლდავური ხალხური სიმღერა. 6. ცხენებშებმული მრავალადგილიანი კარეტა. 10. ნადირობის წესების დამრღვევი. 11 ნახევარკუნძული საბერძნეთში. 15. მხატვრის, მოქანდაკის, ფოტოგრაფის სახელოსნო. 16.ტყუპისცალი ქალის სახელი ბრაზილიურ ტელეფილმში „ტროპიკელი ქალის საიდუმლო“ (ასრულებს გლორია პირეში). 20. პრივილეგირებული ქვეითი ჯარი ოსმალეთში (მე-14-19 ს. ს.). 22 ლავსანის სახელწოდება ინგლისში. 23. მსახიობ არჩილ გომიაშვილის მიერ განსახიერებული პერსონაჟის სახელი ფილმში „რაც გინახავს ვეღარ ნახავ“. 24. ფერწერა გარეთ, ღია ცის ქვეშ, ჰაერზე. 28. უხამსი შინაარსის მსუბუქი კომედია, ვოდევილი. 29. მაჰმადიანთა სულიერი წინამძღოლი — მოძღვარი.

შეადგინა ციალა ამაშუკელმა

ჟურნალის შეძენა შეგიძლიათ რედაქციაში — მ. კოსტავას ქ. № 14, V სართული.




რედაქციის მისამართი: 380096, ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.

რედაქტორის ტელეფონი: 99-98-71

მასალები გადაეცა ასაწყობად 15. 02. 2000.
ჟურნალი ხელმოწერილია დასაბეჭდად 12.03.2000.
ქაღალდის ზომა 60X90 $^{1}/_{8}$,
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. ტირაჟი 800.
შეკვეთა 144

# მოდის ორომტრიალში



მოდელიერი თამუნა დადიანი

ერთმა ცნობილმა მოდელიორმა დანანებით თქვა: დღეს პოდიუმი ადვილად დასაპყრობი გახდა. ყველა, ვისაც კი პოპულარობა უნდა, დიზაინერობას და მანეკენობას იწყებს.

ვერ გეტყვით, რამდენად შეეფერება გულისტკივილით ნათქვამი ეს სიტყვები სინამდვილეს. ალბათ, სიმართლის მარცვალი მასშიც არის, მაგრამ დიზაინერი, რომელიც ამჯერად გვსურს წარმოგიდგინოთ, შემთხვევით და პოპულარობის მოსახვეჭად ნამდვილად არ მოსულა მოდის რთულ და ჭრელ სამყაროში.



თამუნა დადიანი ბავშვობიდანვე ხატავდა, კერავდა, ქმნიდა ტანსაცმლის მოდელებს. თქვენ წარმოიდგინეთ ფეხსაცმელებსაც კი კერავდა. ერთი სიტყვით, პატარაობიდანვე ემზადებოდა იმ საქმისათვის, რასაც დღეს დიდი რუდუნებით, სიყვარულითა და ენთუზიაზმით ემსახურება. თავად პრეტენზიული ჩამცმელი, ასევე პრეტენზიული და მომთხოვნია საკუთარი თავისადმი. არც ერთი მოდელი ისე, სხვათაშორის, სახელდახელოდ არ შეუქმნია. თითოეულ კოსტუმში დიზაინერის სულის ნაწილია ჩაქსოვილი.

თამუნა დადიანი თითქმის ყველა მნიშვნელოვან ფესტივალსა და ჩვენებაში მონაწილეობს და მის მოდელებს მაყურებელი, ყველაზე კომპეტენტური შემფასებელი და ნებისმიერ ჟიურიზე სამართლიანი, ყოველთვის ტაშით აჯილდოებს.

უწინ მოდაც კი გარკვეულ ჩარჩოებში იყო მოქცეული, დღეს ყოველგვარი შეზღუდვისაგან გათავისუფლდა. მაგრამ ვფიქრობ, ყველაზე რთული და დასაფასებელია, როცა უსაზღვრო თავისუფლებაში ადამიანი ზომიერების გრძნობას შეინარჩუნებს.

ახალგაზრდა დიზაინერის მოდელები ორიგინალობით, მდიდარი ფანტაზიით, სიახლით და, რაც მთავარია, ზომიერების შეგრძნობით იქცევს ყურადღებას.

ტილოსა და ფერადი შიფონის უჩვეულო შეხამება ურთიერთგამომრიცხავ და, ამავე დროს, ორგინალურ კომბინაციებს ქმნის. ჰაეროვან ქალურ კოსტიუმებს ვერცერთ მიმდინარეობას ვერ მივაკუთვნებთ. არც ტრაფარეტულია, არც კლასიკური და არც ავანგარდული. შეიძლება ითქვას, რომ მოდელები სხვადასხვა ურთიერთგამომრიცხავი მიმდინარეობის ცალკეული ელემენტების სინთეზს წარმოადგენს, თითოეულ კოსტიუმს საკუთარი ფეხსაცმლის მოდელიც აქვს. ფეხსაცმლის დიზაინიც თამუნასია.

და მაინც, ყველაზე კარგად დიზაინერი თავის შესაძლებლობებს და ნიჭს საღამოს კაბების შექმნისას ამჟღავნებს.

ორიგინალური დიზაინის ატლასითა და ძვირფასი მაქმანებით გაწყობილი მდიდრული თეატრალიზებული საღამოს კაბები ნებისმიერ მანდილოსანს აქცევს მეჯლისის დედოფლად.



დღეს ტანსაცმლის მოდელირება ერთ-ერთ ურთულეს პროფესიად შეიძლება ჩაითვალოს. ამოწურულია თითქმის ყველა თემა. ხშირია ცნობილი დიზაინერების იდეების „გადამღერება“ და საკუთარ მოდელებზე „მიკერება“. ამას ფინანსური პრობლემებიც ემატება. გარდა ამისა, ტანსაცმლის მოდელის შესაქმნელად აუცილებელი სულ უმნიშვნელო დეტალიც კი დიზაინერისათვის წვალებით მოსაპოვებელია.

მთელ ამ ორომტრიალში საკუთარი ხელწერის დამკვიდრებას თამუნა დადიანი მხოლოდ საკუთარი შრომის, საკუთარი ფანტაზიისა და ორიგინალური იდეების წყალობით ცდილობს და ახერხებს კიდეც. მხოლოდ საკუთარი ნიჭის წყალობით იკვალავს გზას მაღალი მოდის ლამაზ და, ამავე დროს, ურთულეს სამყაროში.

ისღა დაგვრჩენია, გზა დავულოცოთ ახალგაზრდა დიზაინერს!

**მარინე ნაკაიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა









ფასი 1 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა